

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის
(საქართველო)

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის /ICOMOS/ICCROM-ის
ერთობლივი საკონსულტაციო მისიის

ანგარიში

28 ნოემბერი - 2 დეკემბერი 2022 წ



Table of Contents

Acknowledgements.....	2
Executive Summary and List of Recommendations.....	3
The Property.....	8
Summary of the National Management System for Preservation and Management.....	9
The Mission.....	10
Detailed Report on the Main Issues.....	11
Conclusions and Recommendations.....	29
Annexes.....	33
Annex I: Terms of Reference of the mission.....	33
Annex II: List of documents received from the State Party to inform the mission.....	35
Annex III: Last Decision of the World Heritage Committee.....	38
Annex IV: Programme of the mission as implemented.....	40
Annex V: Composition of the mission team.....	41
Annex VI: List of people met.....	42
Annex VII: Statement of Outstanding Universal Value of the property.....	44
Annex VIII: List of illustrations.....	47

მადლიერების გამოხატვა

მისიის გუნდს სურს უღრმესი მადლობა გადაუხადოს საქართველოს ხელისუფლებას სტუმართმოყვარეობისა და შესანიშნავი დაგეგმარებისთვის, რამაც უზრუნველყო ამ მისიის დაბრკოლებების გარეშე შესრულება. მისიის პროგრამამ, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებს, ადგილზე ვიზიტსა და დისკუსიებს საშუალება მისცა მისიის ჯგუფს პირველწყაროდან მიეღო ინფორმაცია იმ საკითხებისა და გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც დგანან ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციები მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრის შენარჩუნების საქმეში.

მისიის ჯგუფი განსაკუთრებულ მადლობას უხდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მინისტრის პირველ მოადგილეს, ბატონ კახა (კარლო) სიხარულიძეს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკოლოზ აზნაურაშვილს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და მათ გუნდს მისიის წარმატებული მსვლელობისთვის გაწეული ძალისხმევით.

მისიის ჯგუფს უმეტესი ვიზიტებისა და შეხვედრების განმავლობაში ახლდნენ ბატონი აზნაურაშვილი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი თამარ კეთილაძე, აგრეთვე სახელმწიფოს და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. ყველა მათგანმა მოგვაწოდა მნიშვნელოვანი კომენტარები და გამოხატა ჩვენი მხარდაჭერა. ჩვენი მადლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს ამ ძეგლის დაცვაში მათი გულწრფელი ჩართულობისა და მზადყოფნისათვის.

რეზიუმე და რეკომენდაციების ჩამონათვალი

WHC/ICOMOS/ICRROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის ექსპერტი კონსულტანტების მთავარ მიზანს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის მონასტრში 2015-2018 წლებში გამართული სახურავების ხარვეზის გამო წყლის შეღწევისა და კედლის მხატვრობის დაზიანების შედეგად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის სექტემბრამდე განხორციელებული საგანგებო ზომების შეფასება წარმოადგენდა. კერძოდ, ღვთისმშობლის შობის ტაძარში (მთავარი ტაძარი) 2019-2020 წლის ზამთარში წყლის სერიოზული იმფილტრაცია დაფიქსირდა, დასავლეთის მკლავის სამხრეთ კედლის ზედა ნაწილში წყლის ხილული ლაქებით. წყლის შეღწევამ გამოიწვია ხსნადი და ჰიგიროსკოპიული მარილების დაგროვება და მათი კრისტალიზაცია, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ფერწერული ფენების აშრევა და ბათქაშის დაშლა, რაც ყველაზე მეტად ჩანს მთავარი ტაძრის დასავლეთ და ჩრდილოეთ მკლავებში. აქედან გამომდინარე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული გადაუდებელი ქმედებები ძირითადად მიმართული იყო ეკლესიის დასავლეთ მკლავზე, თუმცა ასევე ჩრდილოეთისაზე.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის წინადადებით, სახელმწიფოს მხარემ ამ საქმეში უფო ტონიეტი, არქიტექტორი და ფლორენციის უნივერსიტეტის შვილობილი კომპანიის ReStruere-ს პრეზიდენტი ჩართო, რათა მას წარემართა კვლევა წყლის შეღწევის მიზეზებზე და მონაწილეობა მიეღო იმ სამუშაოების სტრატეგირებაში, რომლის მიხედვითაც წარმართებოდა შესაბამისი შემამცირებელი ღონისძიებები. მისი რეკომენდაციით, კვლევის, მონიტორინგის და მთავარი ტაძრისა და წმინდა გიორგის ეკლესიის სახურავებზე, აგრეთვე მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავის კედლის მხატვრობაზე გადაუდებელი ჩარევის ჩასატარებლად მოხდა დამატებითი იტალიელი სპეციალისტების დაქირავება სახელმწიფოს მხრიდან, კერძოდ, Giovanni Secco Suardo Association-დან და Studio Massari-დან. ეს სამუშაო იტალიურმა ჯგუფმა განახორციელა ქართველ სპეციალისტებთან ერთად, რომლებსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კედლის მხატვრობის მთავარი კონსერვატორ-რესტავრატორი - მერაბ ბუჩუკური.

რეზიუმე, თანმხლები კონკრეტული რეკომენდაციებით, შეესაბამება მისიის სამუშაო პირობებს (იხ. დანართი 1).

შეფასდეს გელათის მონასტრის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისა და მისი გარემოს კონსერვაციის საერთო მდგომარეობა.

ზოგადად, საჭიროა ძეგლებზე ინტერიერის და ექსტერიერის საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება. დაუყოვნებელი საჭიროებები დაკავშირებულია იმ ხარვეზების აღმოფხვრასთან, რომლებიც არსებობს 2015-2018 წლებში დამონტაჟებულ სახურავებზე და რამაც გამოიწვია ტენიანობის შეღწევა და ამის გამო ისტორიული მხატვრობის დაშლა მთავარი ტაძრის შიდა სივრცეში. აუცილებელი გადაუდებელი ჩარევები უნდა განხორციელდეს ძეგლის მთლიანი კონსერვაციის პროგრამის შემუშავების პარალელურად, რაც მოითხოვს არსებული კონსერვაციის გენერალური გეგმის განახლებას. სასურველია უფრო მჭიდრო დიალოგის წარმართვა ძეგლის კონსერვაციაში ჩართულ სხვადასხვა მხარეებს შორის.

რეკომენდაციები:

1. დაუყოვნებელი მოქმედებები ფოკუსირებული უნდა იქნას სტაბილიზაციის გადაუდებელ სამუშაოებზე. შემდგომი კონსერვაციის სამუშაოები უნდა ჩატარდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტრუქტურები, კედლის მხატვრობა და მოზაიკა¹ მთელი ძეგლისთვის განსაზღვრულ საფუძვლიანად შემუშავებულ და მთლიანობაში ჩასატარებელ სახელმძღვანელო საკონსერვაციო პროგრამაში იქნება ჩართული და გამყარებული სისტემატური მონიტორინგით, კვლევით და დოკუმენტაციით. არსებული კონსერვაციის გენერალური გეგმა შესაბამისად უნდა იქნას განახლებული.
2. რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფო მხარემ გააგრძელოს ძეგლზე არსებული კონსერვაციის გამოწვევების აღმოფხვრაზე ორიენტირებული პროგრამის განხორციელება ამ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად. წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, მრჩეველთა საბჭოს განსახილველად დოკუმენტაცია შემდგომი გადაუდებელი ჩარევებისა და გრძელვადიანი კონსერვაციის სტრატეგიისა და ღონისძიებების შესახებ, შესაბამისი ტექნიკური მასალის თანხლებით, მათ განხორციელებამდე.
3. ძეგლის მართვის გეგმა უნდა განახლდეს, რათა მისი საშუალებით მოხდეს მიმდინარე საკონსერვაციო ქმედებების მართვა

რჩევები ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად, მათ შორის ქმედებების მიმდინარეობა ტექნიკური რჩევებით გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ქვემოთ მოცემული საკითხების გათვალისწინებით.:

a. ჩარევა ღვთისმშობლის შობის ტაძრის სახურავზე (მთავარი ტაძარი)

2015-2018 წლებში დამონტაჟებულ სახურავებს ჰქონდა ხარვეზები დიზაინის, მონტაჟის ტექნიკის და გამოყენებული მასალების ხარისხის კუთხით. ამ ხარვეზებმა გამოიწვია კრიტიკულად დიდი მოცულობის ტენის შეღწევა და უფრო მეტიც, ტენიანობა მოექცა კამარის შიდა ფენასა და სახურავის მოჭიქული კრამიტის ფენას შორის. დასავლეთ მკლავში მოჭიქული სახურავის კრამიტისა და შემავსებლის ფენების შემდგომმა მოხსნამ, დროებით აწეულ სახურავთან ერთად, საშუალება მისცა მზარდ აორთქლებას ექსტერიერის მიმართულებით, რასაც კედლის მხატვრობისთვის პოზიტიური შედეგები მოჰყვა. ახლა საჭიროა აორთქლების ასეთი პროცესის მიღწევა ტაძრის სხვა მკლავებში. ამ მიზნით, მთელ ძეგლზე მთლიანი დამცავი სახურავის აგება დროებით ოპტიმალურ გადაწყვეტას წარმოადგენს.

რეკომენდაცია:

4. დაუყოვნებლივ განხორციელდეს მისიის შენიშვნების გათვალისწინებით ძეგლის (გუმბათის ჩათვლით), მთლიანი დამცავი გადახურვის პროექტი.
- b. ღვთისმშობლის შობის ტაძრის (მთავარი ტაძარი) კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციის სამუშაოების ჩატარების დროს გამოყენებული**

მეთოდები და მასალები

¹ ტექსტის ორიგინალ ინგლისურ ვერსიაში აღნიშნულ ადგილზე აკლია სიტყვა.

მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობაზე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოების საფუძვლიან შეფასებას აფერხებს მათი მდგომარეობის შესწავლისა და შესრულებული ჩარევების დოკუმენტაციის აშკარა ნაკლებობა, ასევე ბათქაშის და მხატვრობის ტექნიკის ანალიზის სიმწირე. შემაშფოთებელია დასავლეთ მკლავის ზედა ნაწილში კედლის მხატვრობაზე ჩატარებული გადაუდებელი ჩარევების დროს გამოყენებული ზოგიერთი მასალა და ტექნიკა. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები მიზნად ისახავს ამ პრობლემების გადაჭრას.

რეკომენდაციები:

5. უზრუნველყოფილ იქნას საფუძვლიანი და დეტალური დოკუმენტაციის მუდმივი წარმოება (როგორც კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, ასევე ყველა განხორციელებული ჩარევების აღწერისთვის). ეს ინფორმაცია ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოების დროს გამოსაყენებლად და კედლის მხატვრობის მუდმივი მონიტორინგისთვის, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქნება საჭირო.
6. უსაფრთხო ხარაჩოების მოწყობა ეკლესიის ყველა მკლავში, კედლის მხატვრობის ყველა ზედა ნაწილის, ასევე აფსიდის მოზაიკის შეფასებისა და მონიტორინგისთვის.
7. წმინდა გიორგის ეკლესიის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი განაგრძეთ ისეთ უბნებზეც, სადაც სახურავის შეცვლის შედეგად შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ინფილტრაციას.
8. შეიმუშავეთ მკაფიო ვალდებულებების და განსახორციელებელი პროცესების პროექტი და საგზაო რუკა. კამარების (და შესაძლოა გუმბათის) ზედა ნაწილების მხატვრობის გადაუდებელი ჩარევების დეტალური ქმედებები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, ორიგინალთან თავსებადი მასალების გამოყენებით. შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს წყლის დამატება. საგზაო რუკა ასევე უნდა შეიცავდეს მხატვრობის მდგომარეობის, ეკლესიის შიგნით არსებული პირობების და კედლების შიგნით წყლის დონის აუცილებელ მონიტორინგს. ასევე უნდა შეიმუშავდეს ადგილზე არსებული მხატვრობის გრძელვადიანი კონსერვაციის გეგმა, მათ შორის უფრო ფართო საკონსერვაციო ჩარევებისთვის, რომელსაც შესაძლებელია დროთა განმავლობაში გადახედვა დასჭირდეს. ეს გეგმა ნაგებობისა და კედლის მხატვრობის შრობისა და სტაბილიზაციის პროცესზეა დამოკიდებული.

ადგილობრივი და ეროვნული დაინტერესებული მხარეთა ჩართულობა, კონსერვაციის მდგომარეობის შეფასება

2021 წელს სახელმწიფო მხარემ გარკვეული ძალისხმევა გაწია ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინფორმირებისა და მათგან კონსულტაციების მიღების მიმართულებით. სამწუხაროდ, 2022 წელს მსგავსი მცდელობები სისტემატურად არ ხორციელდებოდა, რამაც გამოიწვია ზოგიერთი დაინტერესებული მხარის იზოლაცია.

რეკომენდაციები:

9. მოვუწოდებთ სახელმწიფოს მხარეს უფრო მჭიდრო დიალოგი იქონიონ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ძეგლზე გატარებული დაცვის ზომების საკითხებზე, მათ შორის მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს

გავლით.

10. გელათში გასატარებელი გრძელვადიანი კონსერვაციისა და მონიტორინგის ქმედებებიდან გამომდინარე, კატეგორიულად რეკომენდებულია პროცესში უფრო მეტი ქართველი კონსერვაციის სპეციალისტის ჩართვა (და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების დაგეგმვა) ქმედებების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფოს მხარისთვის დახმარების გაწევა ინდიკატორების შემუშავებაში, იმ კომპონენტების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ძველის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას, როგორც ამას ითხოვს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44 COM 7B.47 გადაწყვეტილება.

აღნიშნული ძველის საერთო დამცავი გადახურვის განთავსება, რომელიც აღნიშნულია მესამე რეკომენდაციაში, არის აუცილებელი წინაპირობა არა მხოლოდ ადგილზე შემდგომი ჩარევებისათვის, არამედ მონიტორინგის სხვადასხვა აქტივობებისთვისაც, რაც ამ ჩარევებს უფრო ინფორმატიულს გახდის. რეკომენდირებულია სამი სახის მონიტორინგი: (1) კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მდგომარეობის მონიტორინგი, რისთვისაც საჭიროა უსაფრთხო ხარაჩოების დადგმა ეკლესიის ინტერიერის მთელ პერიმეტრზე; (2) მთლიანი შენობის კონსტრუქციული ქვევის მონიტორინგი, წარსული და შესაძლო სამომავლო მოდიფიკაციისა და სტრუქტურული სტაბილურობის გამოწვევების გამო; (3) მიკროკლიმატის მონიტორინგი, რაც გადამწყვეტ ხასიათს ატარებს კედლის მყიფე მხატვრობის შემდგომი შენარჩუნებისთვის.

რეკომენდაციები:

11. კედლის მხატვრობის და მოზაიკის გადაუდებელი და საშუალოვადიანი შენარჩუნების დეტალური პროექტის შემუშავებამდე, აუცილებელია არსებული კონსერვაციის მდგომარეობისა და ეკლესიის მთლიანი ინტერიერის მოხატულობის დაზიანებების დეტალური სქემის შექმნა.
12. საჭიროა შენობის განივ მკლავებში თლილი ქვების გრძელვადიანი მიკრომოდრაობების საფუძვლიანი და ზუსტი კვლევის ჩატარება 3D მოწყობილობების დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში, დასავლეთ მკლავზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით.
13. რეკომენდებულია მთლიანი სტრუქტურული გამოკვლევის ჩატარება და, ძველის სტატიკური ადეკვატურობის აღსადგენად, ჩარევის პროექტის მომზადება, აქცენტით მისი სტრუქტურის ზედა ნაწილებზე. მიზანშეწონილია, პროექტის მომზადებაში ჩაერთოს საქართველოს კვლევითი ინსტიტუტები და საუნივერსიტეტო ლაბორატორიები.
14. არ უნდა ჩატარდეს დასავლეთ მკლავის ბზარების საბოლოო გამაგრების სამუშაოები, სანამ არ დადგინდება, ზემოაღნიშნული კვლევიდან გამომდინარე, საბოლოო გამოკვლევების და აუცილებელი ზომების ჩამონათვალი.
15. განხორციელდეს შეერთების ადგილების საფუძვლიანი შევსება და დაკარგული მონაკვეთების გამთლიანება ეკლესიის ფასადების სტრუქტურულ ქვებზე. მიზანშეწონილია შესაკეთებლად გამოიყენოთ ბუნებრივი ჰიდრავლიკური კირის ხსნარი, რომელიც აკმაყოფილებს თავსებადობის მოთხოვნებს (უზრუნველყოფს სუნთქვას და აარიდებს თავდაპირველ სამშენებლო ქვებზე მარილის ხსნარების ზემოქმედებას) და, მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ბათქაშის მექანიკური მუშაობის აღდგენის საკითხს (სიმტკიცე და ფორიანობა).

16. რეკომენდირებულია დამატებითი დროებითი ორმაგი ხის კარების (ქარის ბარიერების) დაყენება ნაოსის სამ შესასვლელთან, ასევე ზოგიერთი ღია ფანჯრის დახურვა ქარის მიერ გამოწვეული ტენიანობის შესამცირებლად, მონიტორინგის პროცესის შედეგებიდან გამომდინარე.
17. მისია მოუწოდებს ეროვნულ სააგენტოს და ჩართულ ადგილობრივ პროფესიონალებს, გააგრძელონ 2020 წლის დეკემბერში დაწყებული მონიტორინგის პროექტი, ალესანდრო მასარის მიერ ჩატარებული „სტრუქტურული ჰიგრომეტრული და მიკრო-გარემოს მდგომარეობის კვლევა“ - ის (2021-2022) რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავენ მონიტორინგის ხანგრძლივობას, ჰაერის პარამეტრების საზომი სენსორების რაოდენობასა და ადგილმდებარეობებს, მონასტრის ტერიტორიაზე ქარის მიმართულების და ინტენსივობის საზომ სენსორს, მონაცემთა აღების ინტერვალებს და მათი ჩაწერის პირობებს (კარების მდგომარეობიდან, ვიზიტორების არსებობიდან, სარემონტო სამუშაოებიდან, სპეციალური შეხვედრებიდან, და ა. შ. გამომდინარე).

რჩევები ვიზიტის დროს დაფიქსირებულ ნებისმიერ სხვა შესაბამის საკითხთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ გასაგებია, რომ ძალისხმევა მიმართულია სახურავზე განხორციელებული სამუშაოების უარყოფითი შედეგების გამოსასწორებლად აუცილებელი გადაუდებელი ჩარევისაკენ, მონასტრის მთავარი ტაძრისა და ძეგლის კონსერვაციის მთლიანი პროექტი პარალელურად უნდა შემუშავდეს. ახალი სახურავის პროექტი წარმოადგენს მხოლოდ ერთ, თუმცა საკვანძო ელემენტს ასეთი წინდახედული სტრატეგიისა, რომლის შემუშავებისას მიზანშეწონილია ტერიტორიაზე მომუშავე გუნდებს შორის არსებობდეს კარგი კოორდინაცია და უფრო დინამიური დიალოგი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. გარდა ამისა, წმინდა გიორგის ეკლესიასთან მიმართებაში, დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიღებული ზომები წყლის გარედან შეღწევის თავიდან ასაცილებლად.

რეკომენდაციები:

18. ადგილზე მომუშავე ყველა გუნდს შორის კარგი კოორდინაციისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა, იმისთვის რომ ძეგლი ერთიან სისტემად იქნას განხილული და გადაწყვეტილების მიღება ერთობლივად ხდებოდეს.
19. საჭიროა ტერიტორიაზე წყლის ნაკადების საკითხის მოგვარება და ქვებზე და მხატვრობაზე კაპილარული შთანთქმის ზემოქმედების შესწავლა (კედლების ქვედა ნაწილები).
20. წმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებით, აუცილებელია ქვის ბლოკებს შორის არსებული ნაკერების დამუშავება, რათა არ მოხდეს წყლის შეღწევა ფასადიდან, საკონსერვაციო ხსნარის თავსებადობასა და მდგრადობასთან დაკავშირებული მე-15 რეკომენდაციის გათვალისწინებით.
21. ახალი სახურავის პროექტთან დაკავშირებით, 2022 წლის 28 სექტემბერს, ReStruere-სთან დისტანციური შეხვედრის დროს სახელმწიფო მხარეს მიერ არჩეული „საპროექტო კრიტერიუმების, რომლებიც სახელმძღვანელო სცენარს განსაზღვრავენ“ ვარიანტები გამართლებულია, შემდეგი დამატებითი წინადადებების გათვალისწინებით:

- გაძლიერებული ზომების მიღება ახალი მუდმივი სახურავის კონსტრუქციის გამძლეობის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივად ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით [შესაბამისი ზომები მოცემულია შესატყვის *ევროკოდებში*];
- გადახურვის საბოლოო ფენისთვის სასურველია გამოყენებულ იქნას პროფილირებული სპილენძი, მსგავსი იმ ფორმისა, რომელიც აქვს გელათის მონასტერში აკადემიის შენობის შესასვლელს.

ძეგლი

„გელათის მონასტრის“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი 1994 წელს შეიტანეს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრში კრიტერიუმით (iv), როგორც გამორჩეული მაგალითი შენობის, არქიტექტურული ტექნოლოგიური ანსამბლის და ლანდშაფტის ტიპისა, რომელიც ასახავს (ა) კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს.

გელათის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს „ოქროს ხანის“ ხუროთმოძღვრების შედევრი და მისი არქიტექტურული სტილის საუკეთესო ნიმუშია, რომელიც ხასიათდება გარე წყობის გლუვი და თლილი დიდ ბლოკებით,, იდეალურად დაბალანსებული პროპორციებითა და დეკორატიული თაღების გარე მორთულობით. მონასტრის მთავარი ტაძარი წარმოადგენს ჩაწერილი ჯვრის ტიპის ნაგებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა VII საუკუნიდან და შემდგომ აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის არქიტექტურაში. გელათი ერთ-ერთი უდიდესი შუა საუკუნეების მართლმადიდებლური მონასტერია, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიითა და საერთო დაგეგმარების კარგად გააზრებული კონცეფციით (სურ. 1-2).

გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი შუასაუკუნეების ერთადერთი ძეგლია აღმოსავლეთ მცირე აზიისა და კავკასიის დიდ ისტორიულ რეგიონში, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად აქვს შემონახული მოზაიკური დეკორი, რომელიც შედარებულია საუკეთესო ბიზანტიურ მოზაიკებთან, აგრეთვე შუა-, გვიანი- და პოსტ-ბიზანტიური პერიოდის საქართველოს მხატვრობის უდიდესი კოლექცია, მათ შორის მეფეების, დედოფლებისა და მაღალი სასულიერო პირების 40-ზე მეტი პორტრეტი და შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ყველაზე ადრეული გამოსახულება (ნახ. 3).

მთელი სამონასტრო არეალი წარმოადგენს საკუთრების/ძეგლის ნაწილს და შეიცავს მე -12 საუკუნის ყველა მთავარ შენობას, აგრეთვე მე -13 საუკუნეში დამატებულ შენობებს. ყველა ატრიბუტი, რომელიც აუცილებელია გამორჩეული უნივერსალური ღირებულების გამოსახატავად, წარმოდგენილია ტერიტორიაზე და მის ნაწილს შეადგენს. მე-12 და მე-13 საუკუნეების მონასტრის არც ერთი მნიშვნელოვანი ორიგინალური მახასიათებელი არ დაკარგულა საუკუნეების განმავლობაში და მისი ლანდშაფტი ძირითადად ხელუხლებელი რჩება. ყველა შენობა დამაკმაყოფილებელ საკონსერვაციო მდგომარეობაში არ არის.

ქონებას აქვს დიდი ბუფერული ზონა, რომელიც მოიცავს 1,246 ჰექტარს. არსებობს განვითარების გარკვეული ზეწოლა ბუფერულ და საკუთრების/ძეგლის უფრო ფართო ზონებში, მაგრამ საფრთხეების დონე დაბალია და პროცესები ამჟამად კონტროლს ექვემდებარება.

1994 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანისას, ძეგლი მოიცავდა ქუთაისის ბაგრატის ტაძარს, სახელწოდებით „ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი“. ბაგრატის საკათედრო ტაძარში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საკუთრების გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას, მთლიანობასა და ავთენტურობას, ძეგლი 2010 წელს შეიტანეს საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (გადაწყვეტილება 34 COM 7B.88).

2017 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა დაამტკიცა ძეგლი საზღვრის მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია ბაგრატის საკათედრო ტაძრის გამორიცხვის მიზნით (გადაწყვეტილება 41 COM 8B.31) და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ძეგლი „გელათის მონასტერი“ ამოეღო საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის სიიდან (გადაწყვეტილება 41 COM7A. 20). იმავე წელს კომიტეტმა მიიღო დებულება ძეგლის გამორჩეული უნივერსალური ღირებულების შესახებ, რომელიც მოცემულია VII

დანართში.

ბოლო საკონსულტაციო მისია, რომელიც ძეგლს ეწვია, იყო ICOMOS/მსოფლიო ბანკის ერთობლივი საკონსულტაციო მისია „ბაგრატის ტაძარში და გელათის მონასტერში“, მისია შედგა 2015 წლის იანვარში. უკანასკნელი რეაქტიული მონიტორინგის მისია იყო მსოფლიო მემკვიდრეობის ერთობლივი ცენტრის/ICOMOS-ის მისია, 2012 წლის აპრილში.

კონსერვაციის ეროვნული მართვის სისტემის შექამება და მენეჯმენტი

გელათის სამონასტრო კომპლექსი საბჭოთა პერიოდიდან ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მატარებელია და 2006 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეტანილ იქნა საქართველოს ძეგლთა ეროვნულ რეესტრში. 2014 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებულებით, კულტურული დაცვის არეალი გაფართოვდა გელათის მონასტრის მიღმა, ბუფერული ზონის მოსაცველად. ბუფერული ზონა დაცულია როგორც ძეგლების, ასევე ვიზუალური ატრიბუტების გამო. მიმდებარე ლანდშაფტის ბუნებრივი ფასეულობები რეგულირდება საქართველოს ტყის კოდექსით, ნიადაგის დაცვის, გარემოს დაცვის და წყლის კანონებით, რომლებიც ტერიტორიის ტყეებისა და მდინარეების მართვის საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენენ. ბუფერულ ზონაში ახალი მშენებლობის ან რეკონსტრუქციის, მათ შორის, ინფრასტრუქტურული და მიწის სამუშაოების ჩატარების განაცხადები საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცული ზონების სექციისა და ურბანული მემკვიდრეობის სააგენტოს ნებართვას.

საკონსერვაციო სამუშაოები ტარდება კონსერვაციის გენერალური გეგმის მიხედვით, რომელიც მომზადებულია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობით. ეს გეგმა მოიცავს ნაგებობების კონსერვაციას, ასევე წინადადებებს 1990-იან წლებში დაწყებული სამონასტრო ცხოვრების აღორძინების მხარდასაჭერად და ვიზიტორთა საჭიროებებს. გრძელვადიანი კონსერვაციის პროგრამებისთვის საჭიროა ადექვატური რესურსების შენარჩუნება. უნდა შეიქმნას დოკუმენტაციის სისტემა ყველა კონსერვაციისა და აღდგენის სამუშაოებისთვის და სხვადასხვა სამონასტრო შენობების საერთო სტაბილურობის სამგანზომილებიანი აზომვისა და მონიტორინგისათვის.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიის მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი შეთანხმებულია კომპლექსში შემავალ ყველა საკუთრებასთან მიმართებაში. ძეგლის ყოველდღიური მართვა ევალება სამონასტრო თემს, რომელიც ძეგლის ტერიტორიაზე ბინადრობს. უფრო გრძელვადიან ინტერვენციებს ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. მისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი სააგენტოა ქუთაისის ისტორიული არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია ვიზიტორების მიღებაზე.

2017-2021 წლების მართვის გეგმა ასახავს ეკლესიის და შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და სათემო ჯგუფების წვლილს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საკონსულტაციო პროცესში. ის მიზნად ისახავს ძეგლთან დაკავშირებით საერთო ხედვის ჩამოყალიბებას. გეგმა შემუშავებულია კონსერვაციის გენერალურ გეგმასთან, იმერეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგიასთან და იმერეთის დაცული ტერიტორიების 2014 წლის მართვის გეგმასთან (რომელიც მოიცავს მდინარე წყალწითელას ხეობასა და კანიონს ბუფერულ ზონაში) თავსებადობის გათვალისწინებით. მისი სრულად ამოქმედება და შესაბამისი ორგანოების მიერ აღსრულება საჭიროებს თავად გეგმის დამტკიცებას. საჭიროა საკუთრების მართვის კომიტეტის დანიშვნა და ძირითადი როლებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება.

მისია

2022 წლის 28 თებერვალს, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრმა სახელმწიფოს მხრისგან მიიღო მსოფლიო მემკვიდრეობის კონსერვაციის მდგომარეობის ანგარიში ძეგლის „გელათის მონასტერ“-ზე, გადაწყვეტილების 44 COM 7B.47 შესაბამისად (იხ. დანართი III). ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობა განხილული იქნება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 45-ე სესიაზე.

ანგარიშის შემდეგ, სახელმწიფოს მხარემ აცნობა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილის ბ-ნი კახა (კარლო) სიხარულიძის 2022 წლის 13 მაისის წერილით გელათის მთავარ ტაძარში ბოლოდროინდელი გადაუდებელი ჩარევების და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

2022 წლის 20 ივნისს, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრმა აცნობა სახელმწიფოს მხარეს, რომ ICOMOS International-გან მიღებული იყო მრავალი კომუნიკაცია, რომელიც ასახავდა შეშფოთებას მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობაზე კონსერვაციის სამუშაოების დროს გამოყენებულ მეთოდებსა და პროცესებთან დაკავშირებით. მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრმა გამოთქვა თავისი და საკონსულტაციო ორგანოების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფოს მხარესთვის აღდგენის პროცესში, განსაკუთრებით, ერთობლივი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ძეგლის დაცვის საკონსულტაციო მისიის ფარგლებში, დახმარების გაწევის მიმართულებით.

სახელმწიფოს მხარემ სწრაფად მოახდინა რეაგირება და 2022 წლის 22 ივლისს მოიწვია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისია „გელათის მონასტერში“.

მისია, რომელიც ორგანიზებული იყო 2022 წლის 28 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით, მუშაობდა სახელმწიფოს მხარესთან შეთანხმებული სამუშაო პირობების მიხედვით (იხ. დანართი I). მან განახორციელა ვიზიტები ძეგლის ტერიტორიაზე და თბილისში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები.

მისიის გუნდის შემადგენლობაში შედგოდნენ ირინა კაკეტი (მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი), ალკივიადის პრეპისი (ICOMOS) და ვალერი მაგარი (ICCROM).

დეტალური ანგარიში მთავარი საკითხების შესახებ

საკითხი 1: ღვთისმშობლის შობის ტაძრის (მთავარი ეკლესია) სახურავის საკონსერვაციო მდგომარეობის გასაუმჯობესებლ ზომებთან დაკავშირებით სახელმწიფო მხარის მიერ 2021 და 2022 წლებში ჩატარებული სამუშაოების შეფასება.

2021-2022 წლებში ReStruere-ს გუნდისა და ქართველი ექსპერტების ჯგუფის მიერ ტაძრის სახურავებზე ჩარევის და კონსერვაციის მდგომარეობის გამოსაკვლევად ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც გაანალიზებულია როგორც ქვემოთ, ასევე შემდგომ ნაწილებში.

მისიების და კვლევების შეფასება

A) უგო ტონიეტისა და სარა სტეფანინის მისიები გადახურვასთან დაკავშირებით (2021 წლის ივნისი, 2022 წლის ივნისი და ივლისი). დროებითი ლითონის დამცავი სახურავის არსებობის გათვალისწინებით, ჩატარდა 5 კვლევა, რომლებმაც, სახურავის დამონტაჟების სამუშაოებზე ზედამხედველი ექსპერტისგან მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, მოგვცა 2016 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში სახურავის გამოცვლისას გამოყენებული ტექნიკის უკეთ გააზრების საშუალება. მსგავსი ინფორმაცია მოპოვებულ იქნა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სახურავის შესახებაც.

სისტემატურად გროვდებოდა სხვადასხვა სამშენებლო მასალის სინჯები (ქვები, დულაბები, ფილები), რომლებსაც უტარდებოდა ლაბორატორი ანალიზი, რამაც უზრუნველყო ძალიან სასარგებლო მონაცემები მათი ხარისხისა და ეფექტურობის შესახებ (“მასალების ადგილზე აღებული ნიმუშების (დულაბი, ქვები და ფილები) ტესტირება CNR-ISPIC-ის მიერ. სამეცნიერო ანგარიში, რომელიც განმარტავს ჩატარებული ტესტების შედეგებს (2021 წლის დეკემბერი)”).

2022 წლის მაისში გამოიკვეთა დასავლეთის მკლავის სველი თაღოვანი ქვის სისტემის დაუყოვნებელი გამოშრობის გადაუდებელი აუცილებლობა, რომელიც საფუძვლად დაედო დასავლეთის მკლავზე გადახურვის გადაუდებელ სამუშაოებს, მის ქვეშ არსებული მხატვრობის გადასარჩენად.

B) „ტარიელ კიპაროძე და ლაშა შარტავას ტექნიკური დასკვნა ახალი კვლევების შესახებ: სახურავის ქვეშ მასალების სტრატეგია (2022 წლის იანვარი)“: ჩატარდა 4 კვლევა, რომლებმაც გამოავლინა ძალიან საჭირო და განმარტებითი ინფორმაცია გამოყენებული სამშენებლო მასალების, მათი გამოყენების ტექნიკის და სახურავის სხვადასხვა უბნებზე არსებული უარყოფითი შედეგების შესახებ. გუნდმა წარმოადგინა შესაცვლელი კრიტიკული წერტილების ჩამონათვალი.

C) ალესანდრო მასარის მიერ ჩატარებულმა განმეორებითმა, სისტემატურმა გამოკვლევებმა (2021 წლის ნოემბერი, 2022 წლის იანვარი, 2022 წლის ივნისი და 2022 წლის ოქტომბერი) აჩვენა ტენიანობის მდგომარეობის სპეციფიკური მონაცემები და მკაფიო სურათი, როგორც მთავარი ტაძრის ინტერიერსა და ექსტერიერში, ასევე წმინდა გიორგის ეკლესიის ექსტერიერში. გარდა ამისა, განისაზღვრა ტენიანობის ნეგატიური შედეგების დაუყოვნებელი აღმოსაფხვრელად, აგრეთვე ჰიგრომეტრული მდგომარეობის საშუალო და გრძელვადიანი გაუმჯობესებისთვის და სამონასტრო კომპლექსის სტრუქტურების და ტერიტორიის მიკროკლიმატური მონიტორინგისთვის საჭირო კონკრეტული და დეტალური წინადადებები.

ყველა მისიის ანგარიშებს ახლავს შესაბამისი ილუსტრაციები.

ჯგუფების მიერ მოამზადა ფართოდ ინფორმატიული მასალა საქართველოს ხელისუფლებასთან დისტანციური შეხვედრისთვის (2022 წლის სექტემბერი), რომელიც გადამწყვეტ მნიშვნელობას ატარებდა:

1. ჩარევების სტრატეგიაში გასათვალისწინებელი დიაგნოსტიკური პროცესის შედეგების და ძირითადი პრინციპებისთვის.
2. სანიაღვრე და წყალგაუმტარობის პროექტის ძირითადი ელემენტების გამოვლენასა და შესასწავლად.
3. ადგილზე არსებული უძველესი წყლის სადრენაჟო სისტემის გამოკვლევისა და მისი ექსპლუატაციაში გაშვების შესაძლებლობის შესაფასებლად.
4. სახურავისთვის მისაღები შესაძლო ტექნიკური გადაწყვეტილებების შედარებისთვის.

დასასრულს, მისიების მიერ განხორციელებული გამოკვლევები, დასკვნები და ინტერვენციები გადამწყვეტი იყო ტენიანობის გავრცელების ძირითადი პრობლემების დაუყოვნებელი მოგვარებისთვის და შესრულებულ იქნა ურთიერთშთანხმებულ და თანამშრომლობით რეჟიმში. გარდა ამისა, შემუშავდა კონკრეტული წინადადებები სახურავის აღდგენის პროცესის შემდეგი ეტაპისთვის და მთავარ ტაძარში და მონასტრის ტერიტორიაზე ტენიანობის ზოგადი საკითხების მოსაგვარებლად.

დიაგნოსტიკური პროცესის შედეგების განზოგადება

- გადახურვის/სახურავის ტიპოლოგია: დროთა განმავლობაში განხორციელდა ცხრა ტიპის, განსხვავებული ან კომბინირებული, ახალი გადახურვა სახურავის ქვეშ სივრცის შემავსებლის გამოყენებით (ნახ. 4-6).
- დეფექტური მასალები: მოჭიქული ფილები (როგორც თეთრი, ასევე წითელი ტიპის): ტესტებმა, რომლებიც ჩატარდა *Consiglio Nazionale delle Ricerche - Istituto di Scienze del Patrimonio Culturale*-ში, აჩვენა, რომ გამოყენებული ფილები ვერ უზრუნველყოფდა წყლის შეღწევისგან ეფექტურ დაცვას მათი შემადგენლობისა და არაადეკვატური გამოწვის გამო. ახალი მოჭიქული ფილების ფორიანობის მაჩვენებელი აღემატება შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი შესატყვისი ფილების საშუალო მაჩვენებელს (ნახ. 7).
- დამონტაჟების არასწორი ტექნიკა: ფილების ქვეშ დამონტაჟდა ფოროვანი კირის ხსნარის სქელი ფენა, რომელსაც შეუძლია ბევრი წყლის შთანთქმა. ზოგიერთ უბანზე საერთოდ არ არის დამონტაჟებული წყლის/ტენის საიზოლაციო ფენა. იქაც, სადაც არსებობს რაიმე სახის წყლის/ტენიანობის იზოლაცია, მის როგორც მასალა (რაოდენობა და სისქე) ასევე დამონტაჟება დეფექტურია. კრამიტის ქვეშ არსებული შემავსებელი მასალის უმეტესობა შთანთქავდა ფილების ფენიდან გადატანილ წყალს და შექმნა ტენიანობის რეზერვუარი (სურ. 8-11). გამოყენებული ლურსმნები დაიჟანგა, ხოლო საიზოლაციო ფენასა და ფილებს შორის განთავსებული კირხსნარის სისქე არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ფილების დამჭერ ლურსმნებს არ გაეხვრეტა წყლის საიზოლაციო ფენა, რაც ამ უკანასკნელს არაეფექტურს ხდის (სურ. 12-13). ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების გუმბათების მომრგვალებული ფორმის გეომეტრიის დასაცავად გამოყენებული სპეციალური ფილები არ არის გათვალისწინებული აფსიდებში, სადაც კრამიტები ერთმანეთის მიყოლებით უბრალოდ გაორმაგებულია (სურ. 14-15).
- არაფუნქციონალური საპროექტო გადაწყვეტა: გადახურვა არ არის საკმარისად

გამოშვებული კარნიზებისა და ქვის კედლის სხვა ნაწილების დაცვის უზრუნველსაყოფად (სურ. 16-17). არ არის სპეციფიური დამცავი მოწყობილობები (როგორცაა flashings ციმციმები) დახრილ ზედაპირებსა და ვერტიკალურ კედლებს შორის კვეთაზე ან impluvium წყლის გამანაწილებელთან დამთხვევაში, სადაც ინფილტრაციის რისკი უფრო დიდია (ნახ. 18-19). ზემოაღნიშნულს ემატება წვიმის წყლის შესაგროვებლად და გამოსადევნად გამოსადეგი მოწყობილობების არარსებობა (ღარები და მილები).

განხორციელებული ინტერვენციები

მიკროკლიმატზე მომუშავე გუნდის მოხსენების (2021 წლის დეკემბერი) დასკვნებზე დაყრდნობით, რომელიც ხაზს უსვამს, რომ გაჟონილი წყალი ქვის თაღის შიდა ზედაპირსა და სახურავის მოჭიქული კრამიტის ფენას შორის გროვდება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ექსტერიერისკენ მის აორთქლებას, და კულტურის სამინისტროსთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 2022 წლის მაისში განახორციელა შემდეგი ინტერვენციები:

- მოიხსნა დასავლეთ ფრთის საფარი, მათ შორის მოჭიქული კრამიტის გადახურვა და დროებითი ლითონის საფარი. დასავლეთ ფრთის სამხრეთ მხარეს ახალი შიგთავსის (ახალი ჩარევა და ძველი - ჩამონგრეული და არათანმიმდევრული) ფენის მოცილებამ გამოავლინა გრძივი ბზარი, რომელიც გავლენას ახდენს კედლის ზედა ნაწილზე (სურ. 20). დასავლეთ ფრთის გარე სამხრეთ ფასადის დათვალიერებისას გამოვლინდა ამოტეხილობები კარნიზებსა და თაღებში, რაც ადასტურებს ძველი ადგილობრივი მექანიზმების/კინემატიკის გააქტიურებას. ჩრდილოეთ კედელზეც დაფიქსირდა სამხრეთ კედელზე აღმოჩენილის მსგავსი, თუმცა ნაკლებად ინტენსიური პრობლემები.
- ბზარის დროებითი გამაგრება „სამაგრების/სტეკლერების“ გამოყენებით და სამაგრის ზედაპირის გასწორება, ცემენტის გამოყენების სანაცვლოდ სპეციალური პოცოლანის კირხსნარის (MasterEmaco 285 Tix) გამოყენებით.
- დროებითი ავარიული საფარის დაყენება, რომელიც დასავლეთ ფრთას წვიმისგან იცავს. ახალი დროებითი სახურავი მოთავსებულია რკინის ფერმების სისტემაზე, რომელსაც ეყრდნობა ბეტონის საყრდენის გასწვრივ გრძივი ბზარების დამცავ იზოლირებულ სუბსტრატზე დამაგრებულ არმირებულ საყრდენ ბურჯებს. იგი აწეულია ქვედა დონიდან დაახლოებით 1,20 მ სიმაღლეზე, რაც იძლევა მის ქვეშ მუშაობის შესაძლებლობას და ჰაერის ცირკულაციის საშუალებას (ნახ. 21-24).
- სახურავის ქვეშ შემავსებლის მოცილება: მხოლოდ ახალი შემავსებლის ფენის (ახალი ინტერვენცია) და ძველი კირზე დაფუძნებული კონგლომერატის ფენის და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკვე ჩამონგრეული და არათანმიმდევრულია; არქეოლოგის მეთვალყურეობის ქვეშ შესრულებული სამუშაო.

ინსტრუქციები ახალი სახურავისთვის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, ყველა ჩართულ გუნდთან დისტანციური შეხვედრის შემდეგ (2022 წლის 28 სექტემბერს), გააკეთა არჩევანი ახალ სახურავთან დაკავშირებით, რის შემდეგაც ReStruere-მ დაიწყო საბოლოო სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავება. სახელმწიფო მხარის მიერ დისტანციური შეხვედრის დროს ახალი სახურავისთვის შერჩეული „საპროექტო კრიტერიუმების განმსაზღვრელი სახელმძღვანელო კრიტერიუმების“ ვარიანტები გამართლებულია, შემდეგი დამატებითი შემოთავაზებების გათვალისწინებით:

- a. გასათვალისწინებელია ახალი სახურავის ესთეტიკური თავსებადობა ძეგლის არქიტექტურასთან, რათა თავიდან იქნას აცილებული საკუთრების საერთო

იერსახეზე ნეგატიური გავლენა.

- b. გადახურვის მასალის არჩევანი: პროფილირებული სპილენძი (ვარაინტების შედარებით). ეს არჩევანი მიზანშეწონილად მიიჩნევა, რადგან ის:
- რეგიონში გავრცელებული მსგავსი სამშენებლო მეთოდით და შესაბამის პერიოდებში ძეგლების ქვის ფილებით დაფარვის ტრადიციულ ფორმასთან უფრო შესაფერისი დამუშავების;
 - გადაფარვისა და ვერტიკალურ კედლებს შორის გადაკვეთაზე ზედაპირების (გაადვილებს flashings ციმციმების დაყენებას) უკეთესი თავსებადობის;
 - ჩამოშლის ან კატასტროფის შემთხვევაში გაადვილებული ჩარევის და შეკეთების;
 - სახურავების ქვეშ შემავსებელი მასალის გამოყენების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

უფრო მეტიც, გადახურვის მსგავსი მასალა უკვე გამოცდილია სამონასტრო კომპლექსის აკადემიის შენობის portico roof კარიბჭის სახურავზე.

- c. ღარებისა და სანიაღვრე მილების სისტემის დანერგვა მოითხოვს საუკეთესო საპროექტო გადაწყვეტის გამოვლენას. სახურავზე აუცილებელია წყლის არიდების მდგრადი სისტემის შექმნა, რომელსაც შეეძლება წყლის მოცილება და შეგროვება და მოწყობილობების მეშვეობით მიწაზე გადამისამართება, სადაც სადრენაჟო სისტემასთან ინტეგრაცია წყალს შენობებიდან გადინების საშუალებას მისცემს. ჩარევა საჭიროდ ითვლება მაშინაც კი, თუ ის განსხვავდება მსგავსი ეკლესიებისთვის ყველაზე ტრადიციული გადაწყვეტებისგან და თუნდაც მცირედად ცვლის სახურავების ტრადიციულ იერსახეს. გასული საუკუნეების განმავლობაში წყლის გაჟონვამ განაპირობა მონასტრის შენობების ქვისა და შიდა კედლის მხატვრობაზე ტენიანობის მაღალი ზემოქმედება. შესაბამისად, შენობები თავიდან უნდა იქნას დაცული ამ საფრთხის შემდგომი ზემოქმედებისგან.
- d. სახურავის ორმაგი ვენტილაციის სისტემის მოწყობა ძველი ბათქაშის მოცილების გარეშე, თუ ის მყარი/ხისტია (ნახ. 25). გადახურვის ახალმა სისტემამ ვენტილაციის საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს ტენიანობის შენობის გარე მიმართულებით აორთქლებას, რომელსაც შეუძლია მოახდინოს სახურავის/თალის ქვეშ კამარის შიდა მხარის აერაცია. ეს სივრცე ნაწილობრივ ცარიელი იქნება ტრანსპირაციისა და ვენტილაციის გასაადვილებლად და, გარდა ამისა, შენობის დატვირთვის შესამცირებლად. გამოსაყენებელი მასალების არჩევისას, სახურავის პროექტისა და მისი დეტალების, ასევე მათი სპეციფიკაციების/ინდიკატორების მომზადებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მეტეოროლოგიური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახურავის გამძლეობაზე. ახალი სახურავის პროექტში ასევე გასათვალისწინებელია სიმაღლე (დაახლოებით 400 მ) და მკაცრი ზამთრის კლიმატთან დაკავშირებული ადგილობრივი გარემოსდაცვითი მონაცემები. შესაბამისი ზომები მითითებულია შესატყვის ევროკოდებში (Eurocodes).
- e. კარნიზების ზემოთ სახურავის შვერილის/გადმოწეული ფერდის მოწყობის უზრუნველყოფა. მიზანშეწონილია კარნიზის ფორმის აღდგენა ავთენტური კარნიზის მიხედვით, რამაც თავიდან უნდა აიცილოს კედლების ნალექებისგან დაზიანება და ეკლესიის კონსტრუქციის დაზიანება წყლის შეღწევისგან.
- f. გადახურვის ფილა უნდა შეიცვალოს მთავარი ტაძრის გუმბათზე და სამონასტრო კომპლექსის სხვა ნაგებობებზე, სადაც იგივე მოჭიქული კრამიტია გამოყენებული.

საკითხი 2: მთავარი ტაძრის დასავლეთ და ჩრდილოეთ ფრთებში კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციისათვის 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით გამოყენებული მეთოდებისა და მასალების შეფასება; 2021 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო მხარის ექსპერტთა ჯგუფების მიერ ჩატარებული კვლევების ძირითადი დასკვნები

წინასწარი მოსაზრებები

გელათში კედლის მხატვრობის მდგომარეობა უკვე რამდენიმე წელია შემამწოფოთებელია, მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად გაართულდა ახალი კრამიტის გადახურვის ჰიდროიზოლაციაში არსებული ნაკლოვანებების გამო. ღვთისმშობლის შობის ტაძარში წყლის სერიოზული გაჟონვის/ინფილტრაციის პირველი მტკიცებულება დაფიქსირდა 2019-2020 წლის ზამთარში, დასავლეთის ფრთის სამხრეთ კედლის ზედა ნაწილში წყლის ხილული ლაქების სახით. გადახურვის 2021-2022 წლებში აღმოჩენილი ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეულ დონეზე წყლის შეღწევა მოხდა ეკლესიის თაღების სხვა უბნებსა და კედლების ზედა ნაწილებში.

2020 წლის ივლისში ფილების თავზე დროებითი საფარის დამონტაჟებამ შეზღუდა წვიმის წყლის შემდგომი შეღწევა, მაგრამ ასევე არ იძლეოდა სახურავების ზედა ნაწილებში აორთქლების შესაძლებლობას. აორთქლება უმეტესად კედლებიდან ხდებოდა (დასავლეთ ფრთაში ახალი აწეული დროებითი სახურავის დაყენებასა და ფილებისა და მათ ქვეშ ფხვიერი მასალის ამოღებამდე (2022 წლის მაისი-ივნისი)), რაც მხატვრობისთვის კრიტიკულ სიტუაციას ქმნის.

წყლის შეღწევამ გამოიწვია ხსნადი და ჰიგიროსკოპიული მარილების (ძირითადად ნიტრატებისა და სულფატების) მობილიზება, რომელთა წარმოშობა ჯერ ბოლომდე არ არის გაანალიზებული. წინასწარი დაკვირვებები მათ მდებარეობაზე, მიუთითებს იმაზე, რომ ისინი შეიძლება მომდინარეობდნენ მხატვრობის ორიგინალური მასალებიდან (კერძოდ, ორგანული მასალებიდან, რომლებიც შედის ზოგიერთი ბათქაშის შემადგენლობაში - ჩალა, მატყლი და კანაფი), თუმცა ეს საჭიროებს შემოწმებას. მარილების კრისტალიზაციამ, როგორც ზედაპირული, ისე ფენის შიგნით გამომარილების სახით (რომელიც წარმოიქმნება საღებავის ფენების ქვეშ ან ბათქაშის შიგნით) გამოიწვია საღებავის ფენების აშრევა და ბათქაშისა და საღებავის ფენების ნაწილის დაშლა.

მხატვრობაზე წარმოქმნილი დაზიანებების სიმძიმე მოითხოვს სასწრაფო გადაუდებელ ქმედებებს, მაგრამ უკიდურესად ფრთხილი მიდგომა საჭირო, იმის გათვალისწინებით, რომ მხატვრობაზე მოქმედი პრობლემების მოგვარებას და სტაბილური მდგომარეობის მიღწევას დრო დასჭირდება.

Some concerns

გელათში მისიის დაწყებამდე და მის განმავლობაში, სახელმწიფო მხარე და ადგილზე მომუშავე კონსერვაციის სპეციალისტები ძალიან ღია იყვნენ ინფორმაციის გაზიარებისა და იდეების გაცვლისთვის. თუმცა არსებობს რამდენიმე ნიშანდობლივი საკითხი. როგორც ჩანს, არ არსებობს ღვთისმშობლის შობის ტაძრის კონსერვაციის საერთო პროექტი, სხვადასხვა ასპექტების აუცილებელი ინტეგრირებით, რომლებიც დაკავშირებულია ამ ადგილზე მოქმედი ცვლილებისა და დაშლის პროცესებთან. ასეთი წერილობითი გეგმა ფუნდამენტურია კონსერვაციის ვარიანტების შესაფასებლად, როგორც რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორიების საგანგებო სტაბილიზაციისთვის, ასევე გრძელვადიანი კონსერვაციის გეგმისთვის, რადგან შენობა ნელ-ნელა შრება. ეს გეგმა შეიძლება იყოს მოქნილი, რაც

დამოკიდებულია შენობის მდგომარეობისა და მხატვრობის ევოლუციაზე, მაგრამ საჭიროა განსახორციელებელ ზომებში სიცხადის შეტანა, კომუნიკაციისა და კოორდინაციის ხელშეწყობა და ზომების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

კიდევ ერთი დამაფიქრებელი საკითხია მხატვრობის მდგომარეობის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აშკარა ნაკლებობა. მისიისთვის მიწოდებულ ანგარიშებში არსებობს ზოგიერთ უბანზე მონიტორინგის მიზნით შედარებისთვის გადაღებული ფოტოები, ასევე მხატვრობის ზოგიერთი უბნის მდგომარეობის შეფასების კვლევები, მაგრამ მისიის ჯგუფს არ მიუღია სისტემატიზირებული დოკუმენტაცია. დეტალური დოკუმენტაცია უბნების შესახებ, სადაც საღებავებისა და ბათქაშის დაზიანებებია, როგორც ჩანს, არ არსებობს. ასეთი დოკუმენტაცია ფუნდამენტურია, როგორც საბაზისო, რათა გავაგრძელოთ მხატვრობის მონიტორინგი დროთა განმავლობაში.

კიდევ ერთი საკითხი უკავშირდება ბათქაშისა და მხატვრობის ტექნიკის ანალიზის არარსებობას, განსაკუთრებით თაღების ზედა ნაწილებში, თუმცა იგი აუცილებელია ყველა მხატვრობისთვის, რადგან ფერწერის ტექნიკის, ცვლილებისა და დაზიანებების ფენომენების და შესაძლო საკონსერვაციო ზომების უკეთ შეფასებისა და კორელაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.

დამატებით შემაშფოთებელ საკითხს წარმოადგენს გელათში წარსულში განხორციელებულ ზომებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აშკარა ნაკლებობა, რაც ძლიერ ართულებს ნებისმიერი სახის შეფასებას.

ბოლო სერიოზულად დასაფიქრებელი საკითხი ეხება იმას, რომ მისიის ვიზიტის დროს ტერიტორიაზე არსებულმა ხარაჩოებმა მხოლოდ დასავლეთ მკლავის საფუძვლიანი და უსაფრთხო შეფასების და მონიტორინგის საშუალება მისცა. ახლახან დაიდგა დამატებითი ხარაჩოები ჩრდილოეთ და სამხრეთ ფრთებში, მაგრამ ეს მოითხოვს უსაფრთხოების დამატებით ზომებს, რათა იქ უსაფრთხო სამუშაოები განხორციელდეს. არც ერთი ხარაჩო არ არსებობდა აფსიდის კამარებსა და გუმბათზე არსებული მხატვრობისა და მოზაიკის მდგომარეობის შესაფასებლად.

კონსერვაციის საკითხების შეფასება

დღემდე მოძიებული ინფორმაცია ნელ-ნელა უფრო ნათელად აჩენს გელათში არსებულ ვითარებას. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას შენობას, მის კედლებს, სახურავებსა და შიგნით არსებულ დეკორატიულ ელემენტებს შორის არსებულ პირდაპირ კავშირს. ისინი ერთობლივად ქმნიან ერთიან სისტემას და ადგილზე მომუშავე სხვადასხვა გუნდებს შორის უნდა არსებობდეს კარგი კომუნიკაცია და კოორდინაცია.

აშკარაა, რომ მთავარი პრობლემა არაადეკვატური გადახურვისა და ჰიდროიზოლაციის შედეგად წარმოიშვა, რამაც გამოიწვია წყლის ინფილტრაცია. ასევე, როგორც ჩანს, არსებობს თანხმობა, რომ გაშრობის პროცესი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, სახურავის ზემოდან ვენტილაციის უზრუნველყოფის მეშვეობით (რაც უკვე ტარდება დასავლეთ ფრთაში ამალღებული დროებითი საფარის მოწყობისა და ინტრადოს ზემოთ ფილების და გაფხვიერებული მასალის ამოღების გზით). იგივე უნდა ჩატარდეს სხვა თაღებსა და გუმბათზე (ამალღებული სახურავით, რომელიც ყველა უბანს გადაფარავს), რაც უზრუნველყოფს შენობის თანდათან გაშრობას, ექსტერიერისკენ მიმართული აორთქლების მეშვეობით.

ასევე ნათელია, რომ ეკლესიის კედლებისა და მხატვრობის სტაბილიზაციას დრო დასჭირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შენელდეს მოხატული კედლებიდან სინესტის აორთქლების სიჩქარე და ჩატარდეს ეკლესიის შიგნით მიკროკლიმატის სტაბილიზირების მცდელობები, რაც აგვაცილებს ან შეამცირებს მარილის კრისტალიზაციას, როგორც ზედაპირზე, ასევე მხატვრობის ქვეშ. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანი იქნებოდა, როგორც ალესანდრო მასარი გვთავაზობს, ვეცადოთ ტაძარში ჰაერის ნაკადების შემცირება კარების ან ერთ კონკრეტულ მხარეს, განსაკუთრებით დასავლეთის მხარეს, არსებული კარების დახურვის მეშვეობით.

კედლის მხატვრობის საკონსერვაციო ჩარევების შეფასება

დასავლეთ მკლავის ზედა ნაწილის შემამკობელ მხატვრობაზე ჩატარებული კონსერვაცია განხორციელდა კონსერვაციის უფრო კომპლექსურ პრობლემაზე რეაგირების რეჟიმში, სადაც გარკვეულ უბნებზე ადგილი აქვს მძიმე დაშლის ფენომენს, როგორც ფერწერის აქერცვლისა და გაფხვიერების, ასევე ბათქაშის გაფხვიერების ფორმით. 2021 წლის მაის-ივნისში გელათში სიტუაციის შესაფასებლად კონსერვაციისა და რესტავრაციის იტალიელი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული პირველადი მისიის შემდეგ, შემოთავაზებული იქნა შესაძლო ჩარევებისა და მასალების ვარიანტები, ზოგიერთი მათგანის ადგილზე ტესტირებაც კი განხორციელდა. 2021 წლის სექტემბერში, ამ ტესტების შედეგები დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული და შემდგომ თვეებში, ისევე როგორც 2022 წელს, უფრო ფართო მასშტაბის ჩარევა ჩატარდა.

თუმცა, არსებობს ზოგიერთი მასალისა და ტექნიკის მიდგომასა და შერჩევის თაობაზე გარკვეული წუხილი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ უბნებში ადგილი აქვს ნელი გაშრობის პროცესს და გარკვეული დროის განმავლობაში შესაძლოა კვლავ განვითარდეს ცვლილებები და დაშლა. საკონსერვაციო ჩარევები უნდა შემოიფარგლოს იყოს მინიმალურად საფრთხის ქვეშ მყოფი უბნების სტაბილიზაციისთვის, ხოლო ნებისმიერი ახალი მასალის, განსაკუთრებით წყლის, დამატება მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, ხსნადი მარილების შემდგომი დაშლისა და გადაადგილების რისკის თავიდან აცილების მიზნით.

- მარილების მოცილება: ადეკვატურია მარილების ზედაპირიდან მექანიკური მოცილება რბილი ჯაგრისების გამოყენებით (თუ მარილები სათანადოდ იქნება შეგროვებული და გადაყრილი, კედლის ზედაპირებიდან მოშორებით). თუმცა, ბათქაშიდან მარილების მოცილების ჩარევა (დესალინიზაცია) ხიფათის შემცველია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს საჭიროებს ზედაპირზე და ბათქაშზე წყლის დამატებას. სანამ მკაფიო წარმოდგენა არ გვექნება მარილების წარმოშობის და მათი ხელახლა სტაბილიზების შესაძლებლობის შესახებ, დესალინიზაცია ძალიან სარისკო ჩანს. დასავლეთის მკლავის დამუშავებულ უბნებზე, როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ მხატვრობაზე (სურ. 27-30) ჯერაც ადგილი აქვს ზედაპირულ და ფენის შიგნით გამომარილებას. აქედან გამომდინარე, მისია გვიჩვენებს, არ ჩატარდეს დესალინიზაციის პროცედურები, რომლებიც საფენების გამოყენებას საჭიროებენ.
- ფერწერის ფენის გამაგრება: სინთეტიური პოლიმერების გამოყენება (ამ შემთხვევაში Acrill 33/EA- MMA 3% ან 5% ხსნარი წყალში) ასევე შეიძლება იყოს პოტენციურად პრობლემური, რადგან ეს ისეთი მასალაა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზედაპირზე ან ფერწერის ქვეშ წყალგაუმტარი ფენის წარმოქმნა. როგორც ზემოთ აღინიშნა, დასავლეთ მკლავის დამუშავებული მხატვრობის

სხვადასხვა ნაწილში (ყველა უბანში, მათ შორის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებსა და თაღში) შეიმჩნევა ფენის შიგნით გამომარილება. ამიტომ მისია გირჩევთ, არ გამოიყენოთ სინთეზური პოლიმერები ფერწერის ფენის გასამაგრებლად.

- 2021 წლის ივნისის ანგარიში შეიცავდა წინადადებას ფერწერის ფენის გასამაგრებლად ნანოკირის გამოყენების შესახებ, რაც ბევრად უფრო მიზანშეწონილად გამოიყურება ორიგინალი და საკონსერვაციო მასალების მომავალში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მისია ემხრობა ნანოკირის, როგორც შესაძლო სამკურნალო მასალის ტესტირებას.
- სინთეტიური პოლიმერების გამოყენება (პარალოიდი B-72 10% აცეტონში) ბათქაშის გაფხვიერებული ადგილების დროებით გასამაგრებლად: როგორც ზემოთ აღინიშნა, სინთეტიური პოლიმერების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ნარჩენების ზედაპირზე დაგროვება და წყალგაუმტარი ფენის შექმნა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფენის შიგნით გამომარილების წარმოქმნა და საღებავის ფენის ახალი აშრევა, ან ბათქაშის დაშლა. დროებითი დამუშავებისათვის სასურველია უფრო შექცევადი მასალის გამოყენება, როგორცაა ციკლოდოდეკანი.
- ბიოლოგიური დაზიანების დამუშავება: მიუხედავად იმისა, რომ მეოთხეული ამონიუმის მარილები (2% დეიონიზებულ წყალში) დიდი ხანია გამოიყენება, კარგ შედეგებსაც იძლევა, ამჟამად ნაკლებად ტოქსიკური მასალაც არსებობს, მაგალითად ეთერზეთები, რომელიც ასევე შეიძლება განხილულ იქნას გელათის შემთხვევაში. ეს მასალები გამოცდილია მხატვრობაზე და ქვაზე და კარგ შედეგებს უზრუნველყოფს. ამ არატოქსიკური მასალების გამოყენება შეიძლება სასარგებლო იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტაძრის შიგნით ფარდობითი ტენიანობა დიდი ხნის განმავლობაში მაღალ დონეს შეინარჩუნებს (ნახ. 31).
- ზედაპირის მექანიკური გაწმენდა: ღრუბლებით გაწმენდა უსაფრთხო მეთოდს წარმოადგენს, იმ პირობით, თუ ზედაპირზე ნარჩენების შესამოწმებლად გამოყენებული იქნება ულტრაიისფერი გამოსხივება.
- ზედაპირიდან კარბონატების მოცილება: ნორმალურ პირობებში ზედაპირის წყლით და EDTA-ით გაწმენდა უსაფრთხო პროცედურას წარმოადგენს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ზედმეტი წყლის დამატებამ შეიძლება კვლავ შექმნას ბათქაშში არსებული მარილების შემდგომში გამოჟონვის რისკი; ანგარიშებში აღნიშნული იყო წყლიანი საფენების განმეორებითი გამოყენება, თითოეული 15 წუთის განმავლობაში. შესაძლოა არ არსებობდეს ამგვარი დამუშავების საჭიროება ადრეულ გადაუდებელ სტადიაზე, ვინაიდან კარბონატები მხატვრობის სტაბილურობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს (მათ შეუძლიათ მხოლოდ ხილვადობის გაუარესების გამოწვევა). ამგვარი სამუშაოები უნდა გადაიდოს მხატვრობის გრძელვადიანი მკურნალობის მეორე ფაზაზე, მათი სტაბილიზების შემდეგ.
- გაფხვიერებული ბათქაშის კონსოლიდაცია: ამონიუმის ოქსალატის გამოყენება შეიძლება საინტერესო შესაძლებლობას წარმოადგენდეს მარილით დატვირთული ბათქაშისთვის. თუმცა, გადაუდებელ ეტაპზე, უნდა მოხდეს მხოლოდ ძლიერ დაშლილი ადგილების კონსოლიდაცია და შედეგების

მონიტორინგი უფრო დიდი ხნის განმავლობაში, რათა დადასტურდეს მისი ეფექტურობა ხსნადი მარილების მუდმივად არსებობის ფონზე (ნახ. 32-33).

- ადრე ჩატარებული შეკეთებების დროს გამოყენებული შევსებების მოცილება: ეს პროცედურა მიზანშეწონილია, თუ შეხება აღარ არის ადეკვატურ მდგომარეობაში, ან როდესაც ისინი ვიზუალურად ცვლიან ორიგინალი მხატვრობის ნაწილებს. თუმცა, გადაუდებელი ჩარევის ადრეულ ეტაპზე, ძველი შევსებები უნდა მოიხსნას მხოლოდ თუ ეს აბსოლუტურად აუცილებელია, ვიბრაციის თავიდან ასაცილებლად.
- ახალი შეკეთებების დატანა - შევსებები და კიდების გამაგრება: ამგვარი დამუშავებისთვის ადეკვატურია კირზე დაფუძნებული მასალების გამოყენება, თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს აგრეგატების ტიპის, თანაფარდობის და ფერის დარეგულირება, მხოლოდ ორიგინალი მხატვრობის ტექნიკის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შემდგომ. მოცემული მომენტისთვის უნდა ჩატარდეს მხოლოდ ბათქაშის ფრაგმენტების სტაბილიზაციისთვის აბსოლუტურად აუცილებელი შეკეთებები, რათა თავიდან იქნას აცილებული წყლის ზედმეტად გამოყენება.
- მოცილებული/განშრევებული ნალესობის საკონსერვაციო ხსნარით შევსება/ინექტირება: კირზე დაფუძნებული მასალების გამოყენება ადეკვატურია, მაგრამ ისევ და ისევ, ეს დამუშავება უნდა შემოიფარგლოს მოწყვეტის ან ჩამოვარდნის მაღალი რისკის შემცველ ადგილებში, კვლავაც მოხატულობაზე წყლის გამოყენების შემცირების მიზნით.
- ტესტი ზედაპირზე მზინავი ფენის მოსაშორებლად, რომელიც შესაძლოა აცეტონში გახსნილი აკრილის ფისით ადრინდელი დამუშავების გამო წარმოიშვა. კარგი იქნება, რა თქმა უნდა, ამ ფენის მოცილება, მაგრამ როგორც მარიო პულიერის ანგარიშში (2022 წლის 23 ნოემბერი, გვ. 8) სწორად არის ნათქვამი, ამჟამად არ დგას ამგვარი გაწმენდის აუცილებლობა. ამ ტიპის გაწმენდისთვის შემოწმდა მხოლოდ შედარებით მცირე ფართობი (50 x 50 სმ).
- ესთეტიკური პრეზენტაცია: ფერის ინტეგრაცია აკვარელის საღებავთან დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთ კედელზე. ადგილზე მყოფმა კონსერვაციის ჯგუფმა განმარტა, რომ ამგვარი დამუშავება ჩატარდა, როგორც ნიმუში, მომავალში მხატვრობის გარჩევადობის უზრუნველყოფის შესაძლებლობების უკეთ გასააზრებლად. აკვარელით განხორციელებული ეს დამუშავება შექცევადია. თუმცა, როგორც ჩანს, ამჟამად ამგვარი ჩარევის საჭიროება საერთოდ გამოირიცხა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოხატულობაზე ცვლილებების და დაშლის პროცესები. ამგვარი დამუშავების ჩატარება ამ მომენტისთვის არ არის მიზანშეწონილი (ნახ. 34-35).

საკითხი 3: ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ ადგილობრივი და ეროვნული დაინტერესებული მხარეების შეხედულებების გაგება

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი ზოგადად მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო მხარესთან და, კერძოდ, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის სამონასტრო კომპლექსთან“ დაკავშირებით. 2021 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე კახა (კარლო)

სიხარულით განგაშის ზარს რეკს გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობის საგანგაშო მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოში არა მხოლოდ უმაღლესი მხატვრული და ისტორიული ღირებულების ძეგლად ითვლება, არამედ ქვეყნის იდენტობისა და ქართული სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი და სიმბოლური გამოხატვის გამოვლინებას წარმოადგენს. უდავოა, რომ საქართველოს ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გელათის მონასტრის დაცვას და შენარჩუნებას და უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს კონსერვაციის მდგომარეობაში გადაუდებელი საჭიროებების მოგვარებას. ეს ხაზგასმულია 2021 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მიერ მინისტრის პირველი მოადგილისგან მიღებულ მიმოწერაში, და კიდევ ერთხელ დადასტურდა მისიის დროს.

წყლის შეღწევის მიზეზების, შენობების მონიტორინგის და მთავარი ტაძრისა და წმინდა გიორგის ეკლესიის სახურავებზე გადაუდებელი ჩარევების, ასევე მთავარი ტაძრის დასავლეთ და ჩრდილოეთ ფრთების კედლის მხატვრობის კვლევები გახორციელდა ReStruere, Giovanni Secco Suardo Association და Studio Massari-ის იტალიელი ექსპერტების გუნდების მიერ ქართველ სპეციალისტებთან ერთად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კედლის მხატვრობის მთავარი კონსერვატორ-რესტავრატორის მერაბ ბუჩუკურის ხელმძღვანელობით. როგორც ჩანს, მონასტერში შემარბილებელ ღონისძიებებზე მომუშავე ქართველ და უცხოელ ექსპერტებს შორის გუნდური მუშაობის ნამდვილი სულისკვეთებაა, არ არსებობს აშკარა უთანხმოება გადაუდებელი ჩარევის მეთოდოლოგიასა და მასშტაბთან დაკავშირებით.

მისიის გუნდს ქართველ და იტალიელ რესტავრატორებსა და სხვა სპეციალისტებთან, მათ შორის ქუთაისის ისტორიული არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცა. დასაფასებელია სახელმწიფო მხარეს ძალისხმევა შესრულებული სამუშაოს შესახებ ახსნა-განმარტებების მისაცემად ამ სპეციალისტების ადგილზე მობილიზებასთან დაკავშირებით.

მისიის გუნდი შეხვდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ტახტის ლოკუმ ტენენსის, მაღალყოვლადუსამღვდელოეს შიოს (მუჯირი) ხელმძღვანელობით (სურ. 57). მათ ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთი შემოთავაზება საკუთრების/ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობით და სთხოვეს მისიის გუნდს წარმოედგინათ მკაფიო და კონკრეტული რეკომენდაციები შემდგომი ზომების შესახებ. საპატრიარქოს წარმომადგენლებმა - გელათის მონასტრის მფლობელმა - ხაზი გაუსვეს, როგორც ქართველ და ასევე უცხოელ ექსპერტებს შორის არსებულ უთანხმოებას გელათში კონსერვაციის მიდგომებასა და ინტერვენციებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოში საპატრიარქოს მიერ 2022 წლის მაისში მიწვეული ექსპერტების ჯგუფის (რომელის შემადგენლობაში შედიოდა 4 ექსპერტი დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან და შვეიცარიიდან) მიერ წარდგენილი ანგარიშის დასკვნასთან დაკავშირებით. დასკვნაში ნათქვამია, რომ გადაუდებელი ჩარევების მიმდინარე გეგმა გადახედვას საჭიროებს. საპატრიარქოს ორმა წარმომადგენელმა და ICOMOS საქართველოს წევრებმა, რომლებიც დაესწრნენ ადგილზე ვიზიტს, ხაზი გაუსვეს დაზიანებული კედლის მხატვრობიდან მარილის მოცილებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიით უკმაყოფილებას და გამოთქვეს აზრი, რომ დასავლეთ ფრთის კედლის მხატვრობაზე გატარებული ზომები არ შემოიფარგლებოდა გადაუდებელი ჩარევებით, არამედ მოიცავდა სრულ დამუშავებასა და კონსერვაციას.

დასასრულს, საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს გრძელვადიანი გამოკვლევების პარალელურად გადაუდებელი ჩარევის აუცილებლობას და დათანხმდნენ

იმ მოსაზრებას, რომ აღდგენის პროექტი გრძელვადიანი პროცესი იქნება და, მათ შორის, უნდა მოიცავდეს საკუთრების/ძეგლის ტერიტორიაზე წყლის მართვის ჯანსაღ გეგმას.

მისიის ჯგუფის შეხვედრისას ICOMOS საქართველოს წარმომადგენლებთან, ამ უკანასკნელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ არის სრულად ინფორმირებული საკუთრების/ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობისა და 2021 წლის ოქტომბრიდან განხორციელებული ინტერვენციების შესახებ. 2021 წლის აპრილიდან აგვისტომდე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მოიწვია მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ოთხი სხდომა, რომლებსაც სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის ICOMOS საქართველოს წარმომადგენლებიც დაესწრნენ. შეხვედრებმა სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებს საშუალება მისცა მიეღოთ ინფორმაცია და გაეწიათ კონსულტაციები გელათში განხორციელებული წინა ინტერვენციების გავლენისა და საკუთრების/ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ. თუმცა, ინფორმაციის გაზიარების ეს მოდული შეწყდა 2021 წლის ზაფხულის შემდეგ.

ICOMOS საქართველოს წარმომადგენლებმა გამოხატეს მწუხარება მთავარ ტაძარში მიმდინარე ბოლოდროინდელ გადაუდებელ ჩარევებთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ გაიმეორეს ადგილზე ვიზიტის დროს უკვე გამოთქმული შეშფოთება დასავლეთ ფრთის კედლის მხატვრობის საგანგებო მდგომარეობის გამოსასწორებლად გამოყენებული მეთოდოლოგიით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წაიკითხეს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ანგარიში, რომლის წარმომადგენლებმაც 2022 წლის მაისში საპატრიარქოს მოწვევით მონაახულეს საკუთრება/ძეგლი. ICOMOS საქართველოს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ განხორციელებული ინტერვენციები ძალიან შორს წავიდა, სათანადო რისკის შეფასების გარეშე.

საერთო ჯამში, უნდა წახალისდეს ძეგლზე გამოყენებული კონსერვაციის მიდგომებისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უფრო სისტემატური და ინკლუზიური გაზიარება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ეს ხელს შეუწყობს ეფექტურ დიალოგს სახელმწიფო მხარესა და საზოგადოებას შორის და საკუთრების/ძეგლისა და მისი მართვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

საკითხი 4: ინდიკატორების შემუშავება იმ ატრიბუტების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომლებიც გამოხატავენ საკუთრების/ძეგლის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას

ეს ნაწილი მიზნად ისახავს იმ ტიპის მონიტორინგის განხილვას, რომელიც საჭიროა იმ ძირითადი ატრიბუტების, მატერიალური და არამატერიალური, კონსერვაციის უზრუნველსაყოფად, რომლებიც გადმოგვცემენ საკუთრების/ძეგლის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას და რომლებიც, მათ შორის, მოიცავს მთავარი ტაძრის და წმინდა გიორგის ეკლესიის და მონასტრის სხვა ნაგებობების არქიტექტურულ ფორმებს, მათ სივრცით მოწყობას, რელიგიურ და სხვა ფუნქციებს და ეკლესიების შიდა მორთულობას.

4.1. მთავარი ტაძრის მონიტორინგის წინაპირობა

სახელმწიფო მხარეს ურჩევენ დაუყოვნებლივ განახორციელოს ძეგლის მთლიანი დამცავი საფარის განთავსების პროექტი. ქვემოთ მოცემულია რჩევები ახალი დამცავი გადახურვის საპროექტო კრიტერიუმებისთვის:

- ძეგლის მთლიანი გადახურვა, გუმბათის ჩათვლით, ისე, რომ მის ექსტერიერსა და ინტერიერში ნებისმიერი უბანი ხელმისაწვდომი იყოს (შენობის ინტერიერში ლითონის ხარაჩოების დასრულებასთან ერთად).
- კონსტრუქციის რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში (თოვლი, წვიმა და ქარი) სიმტკიცის უზრუნველყოფა. სასურველია, ის გამაგრდეს რკინის რიგელებით-ელემენტებით, რომლებსაც შეუძლიათ მძიმე ზეწოლის/დატვირთვის გაძლევა (თოვლი), უზრუნველყოფილ იქნას დახრით წვიმის წყლის სწრაფად მოსაშორებლად, ერთმანეთთან დაკავშირდეს ჯვარედინი ქარმედეგი კვანძებით (X) და ანკერების მეშვეობით დამაგრდეს ბეტონის საძირკველზე.
- ძეგლის ფასადების დაცვა ამინდის ზემოქმედებისგან.
- ძეგლზე მუშების დაცვა სხვადასხვა კლიმატურ პირობებში და შენობის სტრუქტურული ქვების ღია ნაკერების შეკეთების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მაგ. ვერტიკალური ბანერები – გვერდებზე მოთავსებული ლითონის ელემენტებით, რომლებიც ძეგლს და მუშებს გამჭოლი ქარისგან და წვიმის წყლისგან დაიცავს).
- მუშებისთვის განათების უზრუნველყოფა, სინათლის გამტარი მონაკვეთების განთავსებით. განიხილეთ გვერდითი სანათების შესაბამის ლითონის ჩარჩოზე დაფიქსირებული გამძლე პლასტმასის ფილებით შეფუთვის შესაძლებლობა.
- ნებისმიერი არქეოლოგიური აღმოჩენის (მიწისქვეშა არხების და ა.შ.) დაცვა იმ ადგილებში, სადაც განთავსებულია სახურავის საყრდენები.
- დამცავი საფარის ადგილზე გრძელვადიანი პერსპექტივით შენარჩუნება.

4.1.1. კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მონიტორინგი

მონიტორინგის პროცესისთვის საწყის ეტაპზე, საჭიროა ღვთისმშობლის შობის ტაძრის სრულ ინტერიერში განთავსებული ხარაჩოების მსგავსი გამძლე ხარაჩოების სრულყოფილად დამონტაჟება. ეს - როგორც გადაუდებელი ჩარევის პირველი ეტაპის ნაწილი - საშუალებას მისცემს შეფასდეს კედლის მხატვრობის კონსერვაციის მდგომარეობა, ისევე როგორც ყველა შიდა ზედაპირისა და სივრცის სტრუქტურული ქცევა, მათ შორის აღმოსავლეთ ნაწილსა და გუმბათში (ნახ. 36). -37).

მეორე აუცილებელი ნაბიჯი იქნება, არსებული კონსერვაციის მდგომარეობისა და კედლის მხატვრობის პათოლოგიის დეტალური სქემის შედგენა ეკლესიის ინტერიერში და აღმოსავლეთ ფრთის მოზაიკაზე.

მთავარი აფსიდული სახურავის აღმოსავლეთ ფერდობზე შეინიშნება აგურის ტიხრებში ძლიერი ტენიანობის არსებობა კვადრანტის კამარის შიდა მხარეს და ბათქაშის საფარსა და მოჭიქულ ფილებს შორის. საკურთხევლის „ტრიუმფალური თაღის“ გვერდით გვერდებზე და ფრონტალურ ნაწილზე ბოლოდროინდელი ტენიანობა შეიმჩნევა მოზაიკისა და კედლის მხატვრობის ნაწილებზე (როგორცაა წმინდა ღვთისმშობლის სახე, ასევე კედლის მხატვრობის დასრულებულ ნაწილებზე) (სურ. 38-43). შემდგომი სიღრმისეული გამოკვლევა შეუძლებელია ადგილზე დაკვირვებისა და შესაბამისი ინსტრუმენტებით საფუძვლიანი შემოწმების გარეშე.

აუცილებელია საკურთხევლის აფსიდის აღმოსავლეთ ნაწილში მოზაიკის და კედლის მხატვრობის კონსერვაციის მდგომარეობის ზუსტი კონტროლი და შეფასება. შეფასებაში შეიძლება წვლილი შეიტანოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ან საპატრიარქოს საარქივო მასალიდან (დოკუმენტაცია, ფოტომასალა, ლაბორატორიული ანალიზი და ა.შ.) საკურთხევლის აფსიდზე წინა პერიოდებში ჩატარებულ სარემონტო-გამაგრებით-საპრეზერვაციო ოპერაციებთან

დაკავშირებით მიღებულმა ინფორმაციამ.

4.1.2. მთლიანობაში შენობის სტრუქტურული ქცევის მონიტორინგი

2015 წელს ეკლესიის გუმბათზე მერიდიანული ბზარის აღმოჩენა (იხ. ერთობლივი ICOMOS / მსოფლიო ბანკის საკონსულტაციო მისია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე „ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი“ (საქართველო), 2015 წლის 21-25 იანვარი) იყო პირველი მითითება იმისა, რომ შენობამ საუკუნეების განმავლობაში განიცადა სტრუქტურული მდგრადობის სახიფათო ცვლილებები, ასევე ლოკალური ნგრევა, რომელიც, როგორც წესი, არ ჩანს კედლის მოხატვის ფენის ქვეშ, მაგრამ გამოსავლენად მუდმივ მონიტორინგს საჭიროებს. გუმბათის ამ პრობლემების გადასაჭრელად ეროვნული სააგენტოს ჩარევა იყო ძეგლის გადარჩენის ტოლფასი, იგი მოიცავდა ნახევარსფეროს ძირში რკინაბეტონის რგოლის (2015) და გუმბათის დოლის ძირში ლითონის საყრდენი რგოლის (2016 წ.) განთავსებას).

თუმცა, საგანგაშოა 2022 წლის მასში დასავლეთ ფრთის გრძელი კედლების თავზე ორი გრძელი ბზარის აღმოჩენა, რომელიც დიდ შემფოთებას იწვევს.

იტალიელი და ქართველი ექსპერტთა ჯგუფის მიერ ბზარების დროებითი კონსოლიდაცია „კავის“ გამოყენებით და სამაგრის ზედაპირის გასწორების მეშვეობით, ცემენტის გამოყენებლად, და მის ნაცვლად სპეციალური პოცოლანის შემცველი ბათქაშის გამოყენება სწორ მიდგომას წარმოადგენს. გარდა ამისა, ამ ჩარევამ ხელი შეუწყო ახალი დროებითი დამცავი სახურავის საყრდენების დასაყენებლად საყრდენის შექმნას, რამაც ხელი შეუწყო დაგროვებული ტენის აორთქლებას - ჰიგიროსკოპიული კვლევის მიერ რეკომენდებული ღონისძიება, რომელიც, მართებულად, ეკლესიის ამ ნაწილში შიდა კედლის მხატვრობის შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად აბსოლუტურად აუცილებელ და პირველ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამ მისიის მიერ განხორციელებულმა შეფასებამ გამოავლინა შენობის თლილი ქვების წყობის ზედა ნაწილის ვერტიკალურად მიკრო, ასევე გარე მიმართულებით ჰორიზონტალური/რადიკალური გადაადგილება, რაც დასტურდება ქვის კიდეებზე არსებული ბზარებით ან ქვის დეკორატიულ ელემენტებსა და ღია ნაკერებზე არსებული ამომტვრევებით. დამცავი სახურავის დამონტაჟების შემდეგაც შენარჩუნებულ ნაკერებში გამოვლინდა მუდმივი სისველე და ბათქაშით შევსების შემდეგ სახსრებიდან გამომავალი მარილები, რაც გრძელვადიანი პროცესია, და რასაც ადასტურებს 2015 წლის ფოტოების შედარება. ამ შედეგების დადგომის გამომწვევ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს ძველი სახურავის სტრუქტურის გადაადგილებით განპირობებული ზეწოლა, ისევე როგორც ქსოვილის ინტერიერიდან წარმოქმნილი ხანგრძლივი ტენიანობა (სურ. 44-47). მსგავსი ფენომენი დაფიქსირდა ჩრდილოეთის მხარესაც, თუმცა ნაკლებად.

გარდა ამისა, მისიამ გამოავლინა ეკლესიის ჩრდილოთ მკლავის კამარის თაღის შიდა ნაწილში ზოგიერთი თლილი ქვების-კონსტრუქციული ქვების ქრონიკული მიკრო გადაადგილება/გადანაცვლება. კედლის მხატვრობის სუბსტრატის ქვეშ ზოგიერთი ნაკერი ღიაა, ხოლო „ღრმა“ კედლის მხატვრობა სავსეა ტენით (სურ. 48-50). ამ წინასწარ ვიზუალურ აღმოჩენას სჭირდება უფრო ზუსტი გამოკვლევა და გაზომვები მოწყობილობების დახმარებით.

მსგავსი კვლევების და გაზომვების ჩატარებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ შენობის მიწისქვეშა საინჟინრო-გეოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ მონასტრის ტერიტორია, მათ შორის მისი შემოგარენი, დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია:

„მონასტრის ყველა ნაგებობა ეყრდნობა კირქვის კლდოვან ქანებს. [...] საძირკველი აგებულია დამუშავებული კირქვითა და კირის ხსნარით. საძირკვლის სიღრმე მერყეობს 40-დან 150 სმ-მდე. (...) შენობის მთლიანი სიმტკიცე მერყეობს 30-დან 40 კვ/სმ²-მდე. ასეთი მაჩვენებელი მოულოდნელი დეფორმაციების წარმოქმნას შეუძლებელს ხდის. საძირკვლის თავზე განთავსებულია ბაზალტის ბლოკებით აშენებული სტერეობატი. (მოხსენება გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო - წარდგენილია WHC/ICOMOS/ICCROM ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგისა და საკონსულტაციო მისიისთვის „ბაგრატის საკათედრო ტაძარში და გელათის მონასტერში“ (საქართველო), 11- 2010 წლის 17 მარტი).

ზემოაღნიშნული დაკვირვებებიდან გამომდინარე, გუმბათის მერიდიანზე და დასავლეთ მკლავის კედლების ზედა ნაწილში წარმოქმნილი ბზარები და ზოგიერთი თლილი ქვის მიკრო გადაადგილება უნდა მიეკუთვნოს სეისმურ მოქმედებას, თანაც თუ გავითვალისწინებთ ნაგებობის სიმაღლეს (ჯამური სიმაღლე გუმბათის ზედა წერტილამდე 35,26 მ შეადგენს). დამატებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს შეადგენს: ტაძრის ძირითად შენობაზე მიდგმული მეორადი ნაგებობების მიერთების შესუსტება (მოპირკეთების ქვის გამოფიტვის შედეგად), გუმბათის თვითდატვირთვა და ქარის დატვირთვა. შესაბამისად, დასავლეთ ფრთის გრძივი კედლების ზედა ნაწილის შესაძლო მომავალი გადაადგილება სერიოზულად უნდა იქნას გათვალისწინებული და სავარაუდოა, რომ უფრო მკაცრი ზომების მიღება იქნება საჭირო ეკლესიის მომავალში ძლიერი სეისმური სტრესისგან ან სხვა ფიზიკური ფენომენისგან დასაცავად. სურ. 26).

დასკვნის სახით, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს მთლიანად ძეგლის მდგომარეობისა და სტრუქტურული ქცევის საფუძვლიანი გამოკვლევა, განსაკუთრებული აქცენტით მის ზედა ნაწილებზე, გუმბათზე ჩატარებული ადრინდელი (ფანჯრების საკმაო რაოდენობის აგურით ამოვსება) და გვიანდელი (რკინაბეტონის რგოლი და მეტალის რგოლი 2015 და 2016 წლებში) ჩარევების გათვალისწინებით. ამ მიმართულებით აუცილებელია საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტებისა და საუნივერსიტეტო ლაბორატორიების ჩართულობა და თანამშრომლობა, მათი ქვეყნის ძეგლების სტრუქტურულ ქცევაზე მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე.

მსოფლიო ბანკის/ICOMOS-ის ერთობლივი მისიის საკუთრებასთან/ძეგლთან დაკავშირებული 2015 წელს გაკეთებული რეკომენდაციების თანახმად, გუმბათზე დამონტაჟდა ელექტრონული მონიტორინგის სისტემა (გამზომი), რომელიც აღრიცხავს არსებული ბზარის პოტენციურ მოძრაობას და პრობლემის დროულად მოგვარების საშუალებას იძლევა. უნდა შემოწმდეს, მუშაობს თუ არა სისტემა და გაგრძელდეს მონიტორინგი.

2017-2019 წლებში ჩატარებულმა სამუშაოებმა სამშენებლო ქვების აღდგენისა და ნაკერების შევსების ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა შეასრულა. თუმცა, ფაქტია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არის პრობლემური სიტუაციები, რაც დასტურდება ეკლესიის ფასადის ჩრდილოეთ მხარეს, რაც, რა თქმა უნდა, გრძელდება გარეთ მარილის კრისტალიზაციის და შიგნით ტენიანობის პრობლემების სახით. საჭიროა ნაკერების საფუძვლიანი შევსების და ტაძრის ფასადზე თლილი ქვების ამოტეხილი/დაკარგული მონაკვეთების სერიოზული ამოვსების პროექტის განხორციელება, რაც გაზრდის თლილი ქვების შეჭიდულობას, გაძლიერებს შენობის მექანიკურ წინაღობას და დაიცავს მას გარედან შემომავალი ტენისგან (სურ. 51). -54). მიზანშეწონილია სარემონტო სამუშაოებში ბუნებრივი ჰიდრავლიკური კირის ბათქაშის გამოყენება, რომელიც აკმაყოფილებს თავსებადობის და (უზრუნველყოფს სუნთქვას და თავიდან აიცილებს თავდაპირველ

სამშენებლო ქვებზე მარილის ხსნარებს ზემოქმედებას) და მდგრადობის მისაღწევად ბათქაშის მექანიკური აღდგენის (სიმტკიცე და ფორიანობა) საჭიროებებს.

4.1.3. მიკროკლიმატის მონიტორინგი

მისია ითვალისწინებს ალესანდრო მასარის მიერ მთავარ ტაძარში 2021-2022 წლებში ჩატარებულ გამოკვლევებს მიკროკლიმატური სიტუაციის მონიტორინგის პრიორიტეტულ აუცილებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დასავლეთ, აგრეთვე ჩრდილოეთ და სამხრეთ ფრთებში ხსნადი და ჰიგიროსკოპიული მარილების მაღალი კონცენტრაციით არსებობის ფართოდ მიმდინარე მოვლენების ასახსნელად, და, შესაბამისად, გაუმჯობესების ზომების შესამუშავებლად.

მისიის გუნდი თანხმდება ეკლესიის ინტერიერში მიკროკლიმატის პარამეტრების კონტროლისა და სტაბილიზაციის მნიშვნელობაზე, რათა, შეძლებისდაგვარად, შეზღუდოს ფარდობითი ტენიანობა (RH) და RH რყევები ეკლესიის შიგნით, რადგან ისინი ხსნადი მარილების კრისტალიზაციისა და ხსნადობის პროცესების გააქტიურებას იწვევენ. ზემოაღნიშნულის ძირითად მიზეზს დასავლეთის კარიდან და ნართექსიდან, ასევე გვერდითი პარაეკლესიიდან, სადაც არის ღია კარები, ფანჯრები და ღიობები, ჰაერის შეღწევა წარმოადგენს.

ამ მიზნით, მისია მოუწოდებს ეროვნულ სააგენტოს და ჩართულ ადგილობრივ პროფესიონალებს, გააგრძელონ 2020 წლის დეკემბერში დაწყებული მონიტორინგის პროექტი, ალესანდრო მასარის „სტრუქტურული ჰიგირომეტრიული და მიკრო-გარემოს მდგომარეობის გამოკვლევების“ (2021-2022) რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავენ მონიტორინგის ხანგრძლივობას, ჰაერის პარამეტრების გასაზომი სენსორების დასამონტაჟებელ რაოდენობას და მდებარეობას, მონასტრის ტერიტორიაზე ქარის მიმართულებისა და ინტენსივობის გასაზომ სენსორს, მონაცემთა ჩაწერის ინტერვალსა და მათი დოკუმენტირების პირობებს (დამოკიდებულია კარების მდგომარეობაზე, ვიზიტორების არსებობაზე, სარემონტო სამუშაოებზე, განსაკუთრებულ ღიობებზე და ა.შ.).

გარდა ამისა, მისია ეთანხმება ალესანდრო მასარი მისიის („სტრუქტურული ჰიგირომეტრიული და მიკროგარემოს მდგომარეობის გამოკვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს შიდა კედლის მხატვრობის დაცვას (2021 წლის 6-12 ნოემბერი) ანგარიშში გაცემულ „საწყის მითითებებს სტრუქტურების ჰიგირომეტრიული გაუმჯობესების შესახებ“. მისია აღნიშნავს, რომ დროებითი დამცავი სახურავის საკმარისად გადმოსულმა გადახურვამ, ღარების დაყენებამ და წვიმის წყლის სადრენაჟო სისტემის გამოყენების განახლებამ ყველაზე უკეთ იმუშავა წყლის შეგროვების პრევენციისა და შენობის ფასადებიდან წლის არიდების მიმართულებით (სურ. 55-56).

4.2. წმინდა გიორგის ეკლესია

წმინდა გიორგის ეკლესიას აქვს მთავარი ტაძრის მსგავსი ტენიანობის პრობლემები, თუმცა ნაკლებად სერიოზული. ამასთან, ეკლესიის კედლის მხატვრობა (მე-16 ს.) საერთო ჯამში უარეს მდგომარეობაშია და ამიტომ, ინტერვენციის საჭიროება მაღალია (სურ. 58, 60). უსწორმასწორო ზედაპირის შესავსებად გამოყენებულ იქნა პემზის არასტანდარტული ბლოკები, რომელიც დაიფარა მკვრივი ბათქაშის ფენით. გარედან ეკლესიის აშკარა პრობლემა დაკავშირებულია ნესტის მატებასთან: ყველაზე მეტად დაზარალდა ჩრდილოეთი მხარე (სურ. 61), შემდეგ მოდის აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი მხარეები. არ არის საკანალიზაციო ქსელი გარედან კანალიზაციის ჭა და ტერიტორიას

წყალი ტბორავს. ეკლესიის გარედან არსებული ეს მდგომარეობა გავლენას ახდენს მის შიდა პირობებზე, კედლები მიწიდან 1,5-2 მ სიმაღლემდე ტენიანობას ავლენს, შედეგად დაზიანებულია კედლის მხატვრობა (სურ. 62). წმინდა გიორგის ეკლესიის სახურავზე წითელი თიხის ფილები თეთრი თიხის ფილების გვერდიგვერდ არის განთავსებული. სახურავის კრამიტი ყველაზე ნაკლებად შესაფერისი მეთოდით არის დაგებული, ფართო გადაფარვის ნაცვლად ბათქაშის ნაკერით არის გაორმაგებული, გუმბათის გარდა, რომელიც კრამიტის გადაფარვით არის გადახურული და სადაც გამოყენებული იყო სპეციალური კრამიტი (სურ. 14).

აუცილებელია ქვის ბლოკებს შორის გარე ნაკერებსა და ბზარებზე მუშაობა, რათა არ მოხდეს გარე კედლებიდან წყლის შეღწევა (სურ. 59), მთავარ ტაძარში მსგავს საკითხებთან დაკავშირებით ზემოთ მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

მიწის ტენიანობის საკითხთან დაკავშირებით, მისია რეკომენდაციას უწევს სახელმწიფო მხარეს, დაიცვას ReStruere-ს მიერ 2022 წლის 28 სექტემბერს დისტანციური შეხვედრის დროს გაცემული რეკომენდაციები „საპროექტო მოქმედებების შეფასების“ და „მოკლევადიანი ქმედებები წმინდა გიორგიში და რეკომენდაციებს“ ფარლებში (შედეგი 2 – ანალიზის მიგნებები: ძირითადი შენიშვნები RS და GET-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით).

4.3. ობიექტზე წყლის სადრენაჟო სისტემის დასრულება და მონიტორინგი

გადახურვის პროექტის დასრულებამდე, საჭიროა სახურავებზე, წყალსადინარ ღარებსა და მილებში, აგრეთვე გადახურვის მთლიან კონსტრუქციაზე წყლის დრენაჟის პროცესის პერიოდული მონიტორინგი და დოკუმენტირება.

არქეოლოგიური გათხრების დროს სამონასტრო კომპლექსის ეკლესიების ირგვლივ უძველესი სადრენაჟე არხებია აღმოჩენილი. წყლის უძველესი სადრენაჟო სისტემა დიდი ხანია მწყობრიდანაა გამოსული, უფრო მეტიც, აღარც კი ჩანს, რადგან იგი მიწით არის დაფარული.

წყლის შესაგროვებლად და გადასაცვანად, მთავარ ტაძარში არსებობს შედარებით უფრო ახალი სისტემა (2019-2020), რომელიც შედგება მილებისაგან, კანალიზაციის ჭებისა და გარეთ მიმართული საკანალიზაციო ქსელისგან. წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში არ არსებობს გარეთ მიმართული ჭებით აღჭურვილი საკანალიზაციო ქსელი. აუცილებელია ეკლესიის საძირკვლის კედლების დაცვის სამუშაოების ჩატარება შენობაში წყლის შეღწევის თავიდან ასაცილებლად.

გარდა ამისა, განხილულ უნდა იქნას, საჭიროა თუ არა სისტემის გავრცელება მონასტრის ეზოს სხვა უბნებზე, მაგალითად, აკადემიის შენობისა და არქეოლოგიური ნაშთების მიმდებარე ტერიტორიების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით (რომლებიც ეკლესიებთან შედარებით კიდევ უფრო დაბალ დონეზე მდებარეობს).

მონასტრის ტერიტორიაზე არსებული წყლის სანიაღვრე სისტემა მუდმივი მონიტორინგის ქვეშ უნდა იყოს.

4.4. შენიშვნები გელათის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის შესახებ

აღმოსავლეთის მხრიდან გელათის სამონასტრო კომპლექსის ზემოთ მდებარე ბორცვში დიდი რაოდენობით მიწისქვეშა წყლები მიედინება, რომლებიც ჩაედინება სამონასტრო

კომპლექსის ტერიტორიაზე.¹ განსაკუთრებით დაქანებული გრუნტის გამო, შემოდინება აღმოსავლეთი კარიბჭის მიმართულებიდან მიმდინარეობს. ეს ფენომენი განაპირობებს მუდმივ ტენიანობას სამონასტრო კომპლექსის ორი მთავარი ძეგლის - მთავარი ტაძრისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საძირკველში. მისია, კომპლექსის შიგნით არსებული ეკლესიებისთვის წყლის სადრენაჟო სისტემის დასრულების ზომების გარდა, გირჩევთ:

- a) გეოტექნიკური კვლევის ჩატარებას ფენომენის იდენტიფიცირებისთვის და კონკრეტული მონაცემების შეგროვების მიზნით (მაგალითად: სტრატეგრაფიული იდენტიფიკაცია ელექტრო ტომოგრაფიის დახმარებით, რომელსაც შეუძლია მთელი ტერიტორიის პროფილის შექმნა).

¹ ამჟამად გელათის მონასტრის, ასევე ვიზიტორთა ცენტრისა და სოფელ გელათში მცხოვრები ოჯახების წყალმომარაგება სოხასტერის წყაროს გავლითაა მოწყობილი, რომელიც მონასტრიდან 2400 მეტრში მდებარეობს.

- b) კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მიწისქვეშა წყლების (ძირითადი რაოდენობის) შეგროვებისა და ამოღების სისტემის მშენებლობის შესაძლებლობის განხილვას კომპლექსის აღმოსავლეთ გალავნის გარეთ და გზის მოპირდაპირე მხარეს, ან სადრენაჟო სისტემის ან შემგროვებელი ჭების მეშვეობით.

4.5. ტურიზმის მართვა

გელათის სამონასტრო კომპლექსი მნიშვნელოვანი ტურისტული ღირშესანიშნაობა და სულიერი ცენტრია, რომელიც ყოველწლიურად 200 000-მდე ტურისტს იზიდავს. მომავალში ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, გაიზრდება, რაც გავლენას მოახდენს ტურისტული ნაკადების მართვაზე. საჭიროა ტურისტული მომსახურების დონის გაზრდა და ძეგლისა და მისი ვიზიტორებისთვის უსაფრთხოებისა და უვნებლობის უზრუნველყოფა. ვიზიტორთა ნაკადის მართვა საკუთრების საერთო მართვის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამ მიმართებაში, ძალიან მნიშვნელოვანია საინფორმაციო ცენტრის ამოქმედება, რაც მოითხოვს მისი ოპერატიული გამოყენების გეგმის შემუშავებას (მისი აშენების დღიდან ცენტრი დღემდე უმოქმედოა).

4.6. რელიგიური ფუნქციის ხელშეწყობა

მონასტერს აქვს რელიგიური ფუნქცია. ეს გულისხმობს არა მხოლოდ რელიგიური მსახურების შესრულებას, არამედ ადეკვატური ობიექტების უზრუნველყოფას, ბერებისა და რელიგიური სტუმრების განსათავსებლად. ამ საკითხების გადასაჭრელად შემუშავებული გეგმები, მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, უნდა გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდეს ვიზიტორთა ნაკადის გაზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

4.7. რისკისთვის მზადყოფნა

სახელმწიფო მხარეს ვალდებულების შესაბამისად, მომავალში თავიდან აიცილოს საგანგებო სიტუაციების დადგომა, უნდა შეფასდეს რისკის მზადყოფნის პროგრამის აუცილებლობა და მოცულობა, განსაკუთრებით სახურავების მეშვეობით წყლის შეღწევის ბოლოდროინდელი უარყოფითი გამოცდილების და კედლის მხატვრობაზე მისი ზემოქმედების ფონზე.

4.8. კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორების შემუშავების წინადადებების შეჯამება

ქვემოთ მოცემული ცხრილი მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული ანალიზის შეჯამებას უფრო ინდიკატურ და პრაქტიკულ ფორმატში, რათა ხელი შეუწყოს სახელმწიფო მხარეს მიერ ინდიკატორების შემუშავებას იმ ატრიბუტების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომლებიც ასახავს საკუთრების/ძეგლის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას. ის არ არის გამიზნული ქმედებების თანმიმდევრობის წარმოსაჩენად, რომელთაგან ბევრი მათგანი შეიძლება და უნდა განხორციელდეს ერთდროულად. უფრო მეტიც, ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო მხარეს მიერ საკუთრების/ძეგლის კონსერვაციის პროგრამის მომზადების გასაადვილებლად.

1. ღვთისმშობლის შობის ტაძარი	
1.1. საერთო გეგმა	ტაძრის კონსერვაციის საერთო გეგმის შემუშავება, გადაუდებელი და გრძელვადიანი ზომების, მკაფიო პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, დაინტერესებულ მხარეებთან გასაზიარებლად.
1.2. დამცავი გადახურვა	დაუყონებლივ განხორციელდეს ძეგლის მთლიანი დამცავი სახურავის მოწყობის პროექტი
1.3. სახურავზე ფილების და მის ქვეშ გაფხვიერებული მასალის მოცილება	სახურავის ქვეშ არსებული კონგლომერატის შემავსებლის მოცილება, რაც მთლიანი დამცავი საფარის დამონტაჟებისა და დარჩენილი ფილების მოხსნის შემდეგ უზრუნველყოფს სახურავიდან აორთქლებას
1.4. მხატვრობის ანალიზი	მხატვრობის ფერწერის ტექნიკის დასადგენი ანალიზის დასრულება
1.5. ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება	ტაძრის ინტერიერის სრულად მომცველი ხარაჩოების გაფართოვება და გამაგრება, რაც ყველა ზედა ზონაში წვდომის საშუალებას იძლევა
1.6. დოკუმენტაცია და მდგომარეობის შეფასება	ტაძრის ინტერიერისა და აღმოსავლეთ ფრთის მოზაიკის არსებული კონსერვაციის მდგომარეობისა და კედლის მხატვრობის პათოლოგიის საფუძვლიანი და დეტალური შესწავლა
1.7. მხატვრობის პერიოდული მონიტორინგი	მხატვრობის პერიოდული მონიტორინგის გაგრძელება, სასწრაფო სტაბილიზაციის საჭიროების მქონე უბნების გამოსავლენად კედლებსა და კედლის მხატვრობის ზედაპირზე ტენიანობის ევოლუციის პერიოდული შეფასება
1.8. გადაუდებელი კონსერვაციის პროცედურების განხორციელება იმ ადგილებში, სადაც მოხატულობის საფრთხის ქვეშაა	ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების დანერგვა ზედაპირული მარილების აღმოფხვრის, ამძვრალი საღებავის ფენის დაფიქსირებისა და დაზიანებული ბათქაშის ადგილების კონსოლიდაციის მიზნით; ჩატარებული ინტერვენციული ზომების საფუძვლიანი და დეტალური დოკუმენტაციის წარმოება
1.9. მთლიანობაში შენობის სტრუქტურული ქცევის მონიტორინგი	მთლიანად ძეგლის მდგომარეობისა და სტრუქტურული ქცევის გამოკვლევა, განსაკუთრებული აქცენტით მის ზედა ნაწილებზე
	კონსტრუქციული კონსერვაციის ზომების განხორციელება მდგომარეობის შეფასების საფუძველზე
	გუმბათზე დამონტაჟებული ელექტრონული სისტემის (გამზომი) რეგულარული შემოწმება
	ჩაატარეთ შენობის თლილი ქვების ჯვარედინ კვანძებში მომხდარი გრძელვადიანი მიკრომომარაობების გამოკვლევა 3D-ზე

	შეავსეთ ნაკერები და ეკლესიის ფასადზე თლილი ქვების ამოტეხილი/გამოტოვებული უბნები ბუნებრივი ჰიდრაულიკური კირის ბათქაშით
1.10. მიკროკლიმატის მონიტორინგი და სტაბილიზაცია	<p>ალესანდრო მასარის "სტრუქტურული ჰიგირომეტრიული და მიკროგარემოს მდგომარეობის გამოკვლევები"-ის (2021-2022 წწ.) რჩევების დანერგვა</p> <p>ნაოსის/სამლოცველოს შესასვლელებში დამატებითი დროებითი ორმაგი ხის კარების (ქარის ბარიერები) მოწყობა, ზოგიერთი ფანჯრის დახურვა, ტაძარში ჰაერის ცირკულაციისა და მხატვრობიდან აორთქლების შესამცირებლად.</p>
2. წმინდა გიორგის ეკლესია	
2.1. საერთო გეგმა	ეკლესიის კონსერვაციის საერთო გეგმის შემუშავება, დაინტერესებულ მხარეებთან გასაზიარებლად
2.2. საკონსერვაციო ზომები ფასადებზე	ეკლესიის ფასადზე შეავსეთ ნაკერები და თლილი ქვების ამოტეხილი/გამოტოვებული უბნები ბუნებრივი ჰიდრაულიკური კირის ბათქაშით
2.3. მოკლევადიანი ზომები	2022 წლის 28 სექტემბერს დისტანციური შეხვედრის დროს ReStruere-ს მიერ „საპროექტო ზომების შეფასება“-სა და „მოკლევადიანი ზომები და რეკომენდაციები წმინდა გიორგის ეკლესიაში“ წარმოდგენილი რჩევების დანერგვა
2.4. სქემების შედგენა, დოკუმენტაცია და მდგომარეობის შეფასება	მხატვრობის დეტალური სქემების და მდგომარეობის შეფასების განხორციელება
2.5. გადაუდებელი სტაბილიზაციის ზომები	მხატვრობის გადაუდებელი სტაბილიზაციის ზომების გატარება შეფასებისა და მონიტორინგის შედეგების შესაბამისად (და ღვთისმშობლის შობის ტაძრისთვის გაცემული რეკომენდაციების დაცვით)
3. წყლის სადრენაჟო სისტემა	
3.1. ტერიტორიაზე წყლის სადრენაჟო სისტემის დასრულება და მონიტორინგი	განახორციელეთ და დოკუმენტაცია სახურავებზე, ღარებსა და მიწებში, აგრეთვე მთლიანად სახურავის სტრუქტურაზე მიმდინარე პროცესების პერიოდული მონიტორინგი.
	სანიაღვრე სისტემის სამონასტრო კომპლექსის ეზოს სხვა უბნებზე გავრცობის საჭიროების განხილვა
	სამონასტრო კომპლექსის ეზოში არსებული წყლის სანიაღვრე სისტემის მუდმივი მონიტორინგი
4. გელათის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია	
4.1. მიწისქვეშა წყლების შემოდინება სამონასტრო კომპლექსის ეზოში	გეოტექნიკური გამოკვლევის ჩატარება და მიწისქვეშა წყლების ნაკადის კომპლექსის გალავნის გარეთ გადაგდების შესაძლებლობის განხილვა
4.2. ვიზიტორთა ნაკადის მართვა	ვიზიტორთა ცენტრის ოპერატიული გამოყენების გეგმის შემუშავება

4.3. რელიგიური ფუნქციის ხელშეწყობა	სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადის ეფექტის აღმოსაფხვრელად გეგმების შემუშავება
4.4. რისკისთვის მზადყოფნა	რისკისთვის მზადყოფნის პროგრამის აუცილებლობისა და მოცულობის შეფასება
4.5. მართვის გეგმა	საკუთრების მართვის გეგმის გადახედვა და განახლება
5. კომუნიკაცია	
5.1. უფრო მჭიდრო დიალოგი დაინტერესებულ მხარეებს შორის	ადგილზე მომუშავე ყველა გუნდს შორის კარგი კოორდინაციისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა, რაც განაპირობებს ძეგლის ერთიან სისტემად აღქმასა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას
	სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მეშვეობით, კომპლექსში გატარებული დაცვის ზომების შესახებ უფრო მჭიდრო დიალოგის წარმოება
6. შესაძლებლობების განვითარება	
6.1. შესაძლებლობების განვითარების საჭიროებების შეფასება	გელათის გრძელვადიანი კონსერვაციის პროექტში კონსერვაციის ქართველი სპეციალისტების ჩართულობის შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროების შეფასება, ზომების და საკუთრების მართვის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

საკითხი 5: გელათის სამონასტრო კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციის საერთო მდგომარეობა

ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გამოწვევები ორმხრივია. ერთის მხრივ, საჭიროა აღმოიფხვრას სახურავებთან დაკავშირებული ჩარევების და ღვთისმშობლის შობის ტაძრის (მთავარი ტაძარი) დაზიანებულ კედლის მხატვრობასთან დაკავშირებული გადაუდებელი ჩარევების ხარვეზები, რომელიც გამოწვეულია 2015-2018 წლებში სახურავების არასწორი გადაფარვით, რასაც შედეგად მოყვა ეკლესიის შიგნით ტენიანობის შეღწევა და ისტორიული მხატვრობის დაზიანება. მიუხედავად იმისა, რომ მისიის ყურადღება მთავარ ტაძარზე გამახვილდა, ეს დაკვირვება ასევე ეხება წმინდა გიორგის ეკლესიას.

მეორეს მხრივ, აუცილებელი გადაუდებელი ჩარევები უნდა შეესაბამებოდეს მთლიანი საკუთრების/ძეგლის კონსერვაციის პროგრამის შემუშავებას. ეს პროგრამა უნდა მოიცავდეს მონიტორინგს, კვლევას და კონსერვაციის სამუშაოების განხორციელებას ორივე ეკლესიის კედლის მხატვრობაზე, მოზაიკასა და ქვის ნაკეთობებზე, სტატიკურ ანალიზსა და მთავარი ტაძრის სტრუქტურის ბზარების აღმოსაფხვრელ ზომებს და საკუთრების/ძეგლის ტერიტორიაზე წყლის მართვას - წვიმის წყალი და მიწისქვეშა წყლები.

მოკლევადიან პერსპექტივაში უმნიშვნელოვანესია ძეგლის, გუმბათის ჩათვლით, მთლიანი დამცავი საფარის განთავსების პროექტის დაუყოვნებელი შემუშავება. ეს არის ძეგლზე შემდგომი ნებისმიერი სახის სამუშაოების და ზემოთ ხაზგასმული მისი მდგომარეობის მონიტორინგის წინაპირობა. მისი დაგეგმვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს დამცავი

სახურავის ადგილზე გრძელვადიან პერსპექტივაში შენარჩუნება, ეკლესიის შიგნით კედლის მხატვრობის გაშრობის მთელი პროცესის განმავლობაში და ბათქაშის სტაბილიზაცია/აღდგენამდე. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი სახურავების რეკონსტრუქციის გაგრძელება. ამ წამოწყებაში აბსოლუტურად აუცილებელია უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების ჯგუფების პირდაპირი სინერგია და მჭიდრო კოორდინაცია (დროებითი და ახალი სახურავისთვის და კედლის მხატვრობის კონსერვაციისთვის).

სახურავის მშენებლობის საპროექტო გატაწყვეტა და ტექნიკური დეტალები დროულად უნდა წარედგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს განსახილველად და დასამტკიცებლად, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განხორციელების ოპერატიული სახელმძღვანელოს 172-ე პუნქტის შესაბამისად, რათა როგორც კი ამინდის პირობები საშუალებას მოგვცემს, ახალი დამცავი საფარი შეიძლება განთავსდეს ადგილზე და ეკლესიის ზედა ნაწილების გახსნა შესაძლებელი გახდება 2023 წლის გაზაფხულის ბოლოს.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მხარეს ექსპერტი კონსულტანტები მოამზადებენ ახალი მუდმივი სახურავის აღდგენის მასალებთან, მის დიზაინთან და კომპონენტებთან დაკავშირებით (შემავსებლის მასალა, გადახურვის ვენტილაციის სისტემა, სახურავის შვერილები, ღარების დამონტაჟება და წვიმის წყლის სადრენაჟო სისტემა) საბოლოო ინსტრუქციებს, სახელმწიფო მხარემ უნდა გაუზიაროს ისინი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს და საკონსულტაციო ორგანოებს მათი კომენტარების, რეკომენდაციებისა და თანხმობის მისაღებად.

იმ ატრიბუტების კონსერვაციის მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი, რომლებიც ასახავს საკუთრების OUV-ს, მთავარია სათანადო დიზაინისა და კონსერვაციის პროგრამის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად. პარალელურად, აუცილებელია მონიტორინგის დასკვნების და ყველა ჩარევის სისტემატური დოკუმენტირების წარმოება, საკუთრების/მეგლის კონსერვაციის ცვალებადი მდგომარეობის უკეთ გასააზრებლად და გრძელვადიან პერსპექტივაში მის გასაუმჯობესებლად. სამწუხაროა, რომ 2015-2018 წლების აღდგენითი ჩარევების დეტალური დოკუმენტაცია არ არსებობს, რამაც გაართულა მდგომარეობის შესწავლა და შეაყოვნა სახურავებზე გადაუდებელი ჩარევების განხორციელება. ნებისმიერი შემდგომი სამუშაო ზედმიწევნით უნდა იქნას დოკუმენტირებული.

სახურავებზე და დაზარალებულ კედლებზე გადაუდებელი ჩარევების აუცილებლობის გათვალისწინებით, გასაგებია, რომ უპირატესობა მიენიჭა ფიზიკურ ჩარევებს მართვის გეგმის განახლებასთან შედარებით. თუმცა, რეკომენდირებულია, რომ მართვის გეგმის განახლების პროცესი სასწრაფოდ განხორციელდეს, იმისთვის რომ მუდმივი კონსერვაციის ძალისხმევა განახლებულ მართვის სისტემასთან კოორდინირებულად წარიმართოს. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ განახლებულ მართვის გეგმას მიენიჭოს სამართლებრივი სტატუსი.

და ბოლოს, სახელმწიფო მხარეს ურჩევენ განაგრძოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში შემდგომი გადაუდებელი ჩარევებისა და გრძელვადიანი კონსერვაციის სტრატეგიისა და ზომების, ასევე შესაბამისი ტექნიკური მასალების შესახებ დოკუმენტაციის წარდგენა საკონსულტაციო ორგანოების მიერ განსახილველად, ქმედებების განხორციელებამდე. მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი და საკონსულტაციო ორგანოები მზად არიან, გვერდით დაუდგნენ სახელმწიფო მხარეს ყველა პროცესში, რომელიც მიზნად ისახავს საკუთრების/მეგლის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

დასკვნები და რეკომენდაციები

გელათის სამონასტრო კომპლექსის დაცვა-შენახვა საქართველოს მთავრობისა და მონასტრის მფლობელის, საპატრიარქოს უმთავრესი პრიორიტეტია. სახელმწიფო მხარეს მზაობა უზრუნველყოს სათანადო რესურსები და ექსპერტიზა და მისი გადაწყვეტილება განახორციელოს აუცილებელი ინტერვენციები უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, ძალიან დასაფასებელია.

დაცვის ყველაზე გადაუდებელი საჭიროებები დაკავშირებულია 2015-2018 წლებში დამონტაჟებულ სახურავებთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრასთან, რამაც გამოიწვია მთავარი ტაძრის შიგნით ტენიანობის შეღწევა და მასთან დაკავშირებული ისტორიული მხატვრობის დაზიანება. ამასთან მიმართებაში, დაუყოვნებელი ქმედებები ფოკუსირებული უნდა იყოს მხოლოდ დაზარალებული მხატვრობის გადაუდებელ აღდგენაზე, რაც მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი და განხორციელდეს ორიგინალთან თავსებადი მასალების გამოყენებით, წყლის გამოყენებაზე შეზღუდვის დაწესებით. მხატვრობაზე შემდგომი საკონსერვაციო სამუშაოები უნდა გადაიდოს მანამ, სანამ გადაუდებელი ჩარევები არ დასრულდება, კედლის მხატვრობა არ მიაღწევს სტაბილურ მდგომარეობას და შემუშავდება მხატვრობის გრძელვადიანი კონსერვაციის გეგმა.

კედლის მხატვრობის მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი - რომლებიც ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული, და რომლებზეც უკვე განხორციელდა გადაუდებელი ჩარევა - მთავარი როლს ასრულებს მხატვრობაში ტენიანობის შეღწევისა და დაზიანების უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრაში. ამგვარი მონიტორინგის წინაპირობას წარმოადგენს ეკლესიის შიგნით არსებული ყველა კედლის მხატვრობისა და მოზაიკის არსებული კონსერვაციის მდგომარეობისა და პათოლოგიის დეტალური სქემის შემუშავება.

მონიტორინგი ასევე უნდა გავრცელდეს ეკლესიის შიგნით არსებულ გარემო პირობებზე და მის კედლებში წყლის დონეებზე. ცხადია, რომ მონიტორინგის შედეგებისა და საკუთრებაში განხორციელებული ყველა ინტერვენციის დეტალური დოკუმენტირება აუცილებელია წარმატებული გრძელვადიანი კონსერვაციის სტრატეგიისა და ძალისხმევითვის. 2020 წლამდე განხორციელებული ინტერვენციების შესახებ დეტალური დოკუმენტაციის ნაკლებობამ, მათ შორის 2015-2018 წლებში ახალი სახურავების დიზაინისა და მონტაჟის შესახებ, გაართულა გადაუდებელი ჩარევის სტრატეგიის შემუშავება.

მთავარი ტაძრის კონსერვაციის გამოწვევების აღმოფხვრის პროგრამის გასაგრძელებლად საჭიროა ორი დროებითი ნაგებობის მოწყობა: დაცული ხარაჩოების სტრუქტურის მოწყობა ეკლესიის ყველა ფართზე და მთლიანი ძეგლის დამცავი საფარის განთავსება, რომელიც შენობის სახურავებზე და კონსტრუქციულ ქვებზე შემდგომი აუცილებელი ჩარევებისთვის ოპტიმალურ პირობებს უზრუნველყოფს.

საკუთრების გრძელვადიანი საერთო კონსერვაციის სტრატეგიას და მართვის გეგმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა შემდგომი ჩარევა, კედლის მხატვრობის უფრო ფართო კონსერვაციის ჩათვლით, ხელმძღვანელობდეს საკუთრების/ძეგლის მომავლის კარგად ინფორმირებული და ყოვლისმომცველი ხედვით. ასეთი სტრატეგია უნდა მოიცავდეს ეკლესიის ჰოლისტიკურ სტრუქტურულ გამოკვლევას და მისი სტატიკური ადეკვატურობის აღდგენას, ასევე ადგილზე წყლის ნაკადების საფუძვლიან გამოკვლევას და მართვას.

კონსერვაციის სტრატეგია წარმართავს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღება არსებული

გადახურვის შეცვლასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა იყოს დაპროექტებული ისე, რომ შეესაბამებოდეს კომპლექსის არქიტექტურას, მისი მაქსიმალური გამძლეობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს ეკლესიის ინტერიერის, მათ შორის მისი ძვირფასი კედლის მხატვრობის მაქსიმალურ დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ანგარიში ყურადღებას ძირითადად მთავარ ტაძარზე ამახვილებს, კონსერვაციის გრძელვადიანი სტრატეგია უნდა შემუშავდეს მთელი საკუთრებისთვის/მეგლისთვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წმინდა გიორგის ეკლესიაც, კერძოდ მისი მხატვრობის, რომელთაგან ზოგიერთი ცუდ და გაუარესებად მდგომარეობაში იმყოფება. მის შეფასებას და მონიტორინგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს უზრუნველყოფს სახურავიდან და გარე კედლებიდან წყლის შეღწევის პრევენციას.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი ექსპერტების დახმარება მომგებიანი იყო სახელმწიფო მხარეს ძალისხმევისთვის საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების ფაზაში, რეკომენდებულია ძეგლებზე და განსაკუთრებით, გელათის გრძელვადიან კონსერვაციაზე მიმართულ სამუშაოებში მეტი ქართველი ექსპერტის ჩართვა. ადგილობრივ ექსპერტიზაზე გაზრდილი დამოკიდებულება, რაც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერით იქნება გაძლიერებული, საკუთრების ეფექტური და მდგრადი კონსერვაციისა და მართვის უზრუნველყოფის მიმართულებით წარიმართება. წახალისებული უნდა იყოს უფრო მჭიდრო დიალოგი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან საკუთრების/მეგლის ტერიტორიაზე განხორციელებული დაცვის ზომების და გელათის გრძელვადიანი ხედვისა და სტრატეგიის შემუშავებისას.

ყველა რეკომენდაციის ჩამონათვალი:

1. დაუყოვნებელი ქმედებები ფოკუსირებული უნდა იყოს საგანგებო სტაბილიზაციის სამუშაოებზე. შემდგომი საკონსერვაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტრუქტურები, კედლის მხატვრობა და მოზაიკა ჩართული იქნება მთლიანი ძეგლის საფუძვლიანად შემუშავებული და ერთიანი კონსერვაციის პროგრამაში და უნდა იყოს გამყარებული სისტემატური მონიტორინგით, კვლევებით და დოკუმენტაციით. კონსერვაციის არსებული გენერალური გეგმა შესაბამისად უნდა განახლდეს.
2. რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფო მხარემ გააგრძელოს საკუთრებაში არსებული კონსერვაციის გამოწვევების აღმოფხვრაზე ორიენტირებული პროგრამის განხორციელება ამ მოხსენებაში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად და წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, საკონსულტაციო ორგანოების მიერ განსახილველად, დოკუმენტაცია შემდგომი გადაუდებელი ჩარევებისა და გრძელვადიანი კონსერვაციის სტრატეგიისა და ღონისძიებების შესახებ, შესაბამისი ტექნიკური მასალის თანხლებით, მათ განხორციელებამდე.
3. ძეგლის მართვის გეგმა უნდა განახლდეს, რათა გაგრძელდეს საკონსერვაციო სამუშაოები.
4. დაუყოვნებლივ განახორციელდეს ძეგლის, გუმბათის ჩათვლით, მთლიანი დამცავი გადახურვის პროექტი, მისიის შენიშვნების გათვალისწინებით.
5. უზრუნველყოფილ იქნას საფუძვლიანი და დეტალური დოკუმენტაციის მუდმივად წარმოება (როგორც კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგისთვის,

ასევე ყველა განხორციელებული ჩარევის აღსანუსხად ეს ინფორმაცია ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გადაუდებელი კონსერვაციის სამუშაოების დროს გამოსაყენებლად და მხატვრობის მუდმივი მონიტორინგისთვის, რაც დიდი ხნის განმავლობაში იქნება საჭირო.

6. უსაფრთხო ხარაჩოების მოწყობა ეკლესიის ყველა ნაწილში, მხატვრობის ყველა ზედა ნაწილის, ასევე აფსიდის მოზაიკის შეფასებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.
7. წმინდა გიორგის ეკლესიის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი განავრცეთ ისეთ უბნებზეც, სადაც სახურავის შეცვლის შედეგად შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ინფილტრაციას.
8. შეიმუშავეთ მკაფიო ვალდებულებების და განსახორციელებელი პროცესების პროექტი და საგზაო რუკა. თაღების (და შესაძლოა გუმბათის) ზედა ნაწილებში მხატვრობის გადაუდებელი სამუშაოების დეტალური ქმედებები საჭიროა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, ორიგინალთან თავსებადი მასალების გამოყენებით და რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს წყლის დამატება. საგზაო რუკა ასევე უნდა შეიცავდეს მხატვრობის მდგომარეობის, ეკლესიის შიგნით არსებული პირობების და კედლების შიგნით წყლის დონის აუცილებელ მონიტორინგს. ასევე უნდა შეიმუშავდეს ადგილზე არსებული მხატვრობის გრძელვადიანი კონსერვაციის გეგმა, მათ შორის უფრო ფართო საკონსერვაციო ჩარევისთვის, რომელსაც შესაძლებელია დროთა განმავლობაში გადახედვა დასჭირდეს, იმის მიხედვით თუ თანდათან როგორ გაშრება და სტაბილურ მდგომარეობას მიაღწევს შენობა და მხატვრობა.
9. მოვუწოდებთ სახელმწიფოს მხარეს უფრო მჭიდრო დიალოგი განაგრძოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ძეგლთან დაკავშირებით გატარებული დაცვის ზომების შესახებ, მათ შორის მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მეშვეობით.
10. გელათში გასატარებელი გრძელვადიანი კონსერვაციისა და მონიტორინგის ქმედებებიდან გამომდინარე, კატეგორიულად რეკომენდებულია პროცესში უფრო მეტი ქართველი კონსერვაციის სპეციალისტის ჩართვა (და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების დაგეგმვა) ქმედებების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
11. კედლის მხატვრობის და მოზაიკის გადაუდებელი და საშუალოვადიანი შენარჩუნების დეტალური პროექტის შემუშავებამდე, აუცილებელია არსებული საკონსერვაციო მდგომარეობისა და ეკლესიის მთლიანი ინტერიერის მოხატულობის დაზიანებების დეტალური სქემის შექმნა.
12. საჭიროა შენობის განივ მკლავებში თლილი ქვების გრძელვადიანი მიკრომოძრაობების საფუძვლიანი და ზუსტი კვლევის ჩატარება 3D მოწყობილობების დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში, დასავლეთ მკლავზე განსაკუთრებული აქცენტით.
13. ძეგლის სტატიკური ადეკვატურობის აღდგენის მიზნით რეკომენდირებულია მთლიანი სტრუქტურული გამოკვლევის ჩატარება და ინტერვენციული პროექტის

მომზადება მისი სტრუქტურის ზედა ნაწილებზე აქცენტით. მიზანშეწონილია, რომ პროექტის მომზადებაში ჩაერთონ საქართველოს კვლევითი ინსტიტუტები და საუნივერსიტეტო ლაბორატორიები.

14. არ უნდა ჩატარდეს დასავლეთ მკლავის ბზარების საბოლოო გამაგრების სამუშაოები, სანამ არ დადგინდება, ზემოაღნიშნული კვლევიდან გამომდინარე, საბოლოო გამოკვლევების და აუცილებელი ზომების ჩამონათვალი.
15. განხორციელდეს შეერთების ადგილების საფუძვლიანი შევსება და დაკარგული მონაკვეთების გამთლიანება ეკლესიის ფასადების სტრუქტურულ ქვებზე. მიზანშეწონილია შესაკეთებლად გამოიყენოთ ბუნებრივი ჰიდრაულიკური კირის ხსნარი, რომელიც აკმაყოფილებს თავსებადობის მოთხოვნებს (უზრუნველყოფს სუნთქვას და აარიდებს თავდაპირველ სამშენებლო ქვებზე მარილის ხსნარების ზემოქმედებას) და, მდგრადობის უზრუნველყოფად, დულაბის მექანიკური მუშაობის აღდგენის საკითხს (სიმტკიცე და ფორიანობა).
16. რეკომენდირებულია დამატებითი დროებითი ორმაგი ხის კარების (ქარის ბარიერების) დაყენება ნაოსის სამ შესასვლელთან, ასევე ზოგიერთი ღია ფანჯრის დახურვა ქარის მიერ გამოწვეული ტენიანობის შესამცირებლად, მონიტორინგის პროცესის შედეგებიდან გამომდინარე.
17. მისია მოუწოდებს ეროვნულ სააგენტოს და ჩართულ ადგილობრივ პროფესიონალებს, გააგრძელონ 2020 წლის დეკემბერში დაწყებული მონიტორინგის პროექტი, ალესანდრო მასარის მიერ ჩატარებული „სტრუქტურული ჰიგირომეტრიული და მიკრო-გარემოს მდგომარეობის კვლევის“ (2021-2022) რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავენ მონიტორინგის ხანგრძლივობას, დასაყენებელი ჰაერის პარამეტრების გამზომი სენსორების რაოდენობასა და ადგილმდებარეობებს, მონასტრის ტერიტორიაზე ქარის მიმართულების და ინტენსივობის გამზომ სენსორს, მონაცემთა აღების ინტერვალებს და მათი ჩაწერის პირობებს (კარების მდგომარეობიდან, ვიზიტორების არსებობიდან, სარემონტო სამუშაოებიდან, სპეციალური შეხვედრებიდან, და ა. შ. გამომდინარე)
18. ადგილზე მომუშავე ყველა ჯგუფს შორის კარგი კოორდინაციისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა, იმისთვის რომ ობიექტი ერთიან სისტემად იქნას განხილული და გადაწყვეტილების მიღება ერთობლივად ხდებოდეს.
19. საჭიროა ტერიტორიაზე წყლის ნაკადების საკითხის მოგვარება და ქვებზე და მხატვრობაზე კაპილარული შთანთქმის ზემოქმედების შესწავლა (კედლების ქვედა ნაწილებში).
20. წმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებით, აუცილებელია ქვის ბლოკებს შორის გარე ნაკერების დამუშავება, რათა არ მოხდეს წყლის შეღწევა ფასადებიდან. საკონსერვაციო ხსნარის თავსებადობასა და მდგრადობასთან დაკავშირებული მე-15 რეკომენდაციის გათვალისწინებით.
21. ახალი სახურავის პროექტთან დაკავშირებით, 2022 წლის 28 სექტემბერს, ReStruere-სთან დისტანციური შეხვედრის დროს სახელმწიფო მხარეს მიერ არჩეული „საპროექტო კრიტერიუმების, რომლებიც სახელმძღვანელო სცენარს განსაზღვრავენ“ ვარიანტები გამართლებულია, შემდეგი დამატებითი

წინადადებების გათვალისწინებით:

- გაზრდილი ზომების მიღება ახალი მუდმივი სახურავის კონსტრუქციის გამძლეობისთვის, ადგილობრივად ზამთრის მკაცრი კლიმატის პირობების გათვალისწინებით [შესაბამისი ზომები მოცემულია შესატყვის *ევროკოდებში*];
- გადახურვის საბოლოო ფენისთვის სასურველია გამოყენებულ იქნას პროფილირებული სპილენძი – გელათის სამონასტრო კომპლექსის აკადემიის შენობის შესასვლელთან გამოყენებული ფორმის მსგავსი.

დანართები

დანართი I: მისიის განსახორციელებელი სამუშაოს აღწერილობა

სამუშაო პირობები

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ს/ICCROM-ს ერთობლივი საკონსულტაციო მისია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლ „გელათის სამონასტრო კომპლექსში“ (საქართველო), 2022 წლის 28 ნოემბერი – 2 დეკემბერი

1. წინაპირობა

2022 წლის 22 ივლისს სახელმწიფო მხარემ მიიწვია WHC/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლ „გელათის სამონასტრო კომპლექსში“ (იხ. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი #29175) ჩატარებული საგანგებო ზომების შესაფასებლად, რომლებიც განსახორციელა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, თავის ექსპერტ კონსულტანტებთან ერთად 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის სექტემბრამდე პერიოდში, 2019 და 2020 წლებით დათარიღებული წყლის ინფილტრაციის შემდეგ.

2. საკონსულტაციო მისიის მიზანი

ერთობლივმა საკონსულტაციო მისიამ უნდა:

- 1) ჩაატაროს გელათის სამონასტრო კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის, მათ შორის მისი ტერიტორიის, კონსერვაციის მთლიანი მდგომარეობის შეფასება;
- 2) შეაფასოს სახელმწიფო მხარეს მიერ 2021 და 2022 წლებში ღვთისმშობლის შობის ტაძრის (მთავარი ტაძარი) კონსერვაციის მდგომარეობის გაუმჯობესება მის სახურავებზე განხორციელებულ ჩარევასთან დაკავშირებით;
- 3) ჩაატაროს 2021 წლის ივნისიდან 2022 წლის სექტემბრამდე პერიოდში მთავარი ტაძრის დასავლეთ და ჩრდილოეთ მკლავში კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციისათვის გამოყენებული მეთოდებისა და მასალების შეფასება;
- 4) ჩაატაროს სახელმწიფო მხარეს ექსპერტთა ჯგუფების მიერ 2021 წლიდან ჩატარებული კვლევების ძირითადი დასკვნების განხილვა;
- 5) შეიმუშავოს რჩევები ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელი ზომების შესახებ, მათ შორის მოქმედების კურსი, ტექნიკური რჩევების ჩათვლით, გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
 - a. ღვთისმშობლის შობის ტაძრის (მთავარი ტაძრის) სახურავზე ჩარევასთან,
 - b. ღვთისმშობლის შობის ტაძრის (მთავარი ტაძრის) კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციაზე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდებსა და მასალებთან დაკავშირებით
- 6) ითანამშრომლოს ადგილობრივ და ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებთან, ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ მათი შეხედულებების გამოვლენისა და გაზიარების მიზნით;
- 7) დაეხმაროს სახელმწიფო მხარეს ინდიკატორების შემუშავებაში იმ ატრიბუტების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომლებიც გამოხატავენ ძეგლის უნივერსალურ ღირებულებას, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44

COM 7B.47 გადაწყვეტილების მოთხოვნებთან შესაბამისად;

- 8) შეიმუშავოს რჩევები ნებისმიერ სხვა შესაბამის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც დაფიქსირდა ვიზიტის დროს.

² არქიტექტორი პროფესორი უგო ტონიეტი; არქიტექტორი სარა სტეფანი, შპს ReStruere-ს სახელით, ფლორენციის უნივერსიტეტის შვილობილი კომპანია; კონსერვატორ-რესტავრატორები მარियो (მარკო) პულიერი, ვინჩენცო სენტანი, საბრინა სალვატორი, ლორენცო ბუდელო, ხელოვნების ისტორიკოსი ჯულია ბორდი, კონსერვატორი დავიდე მელიკა, არქიტექტორი და მიკროკლიმატის სპეციალისტი ალესანდრო მასარი ჯოვანი სეკო სუარდო ასოციაციის სახელით.

სახელმწიფო მხარე დანიშნულ ექსპერტებს მიაწვდის ყველა საჭირო დოკუმენტაციას და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია მათი ამოცანების წარმატებით შესრულებისთვის მისიის დაწყებამდე არაუგვიანეს ათი დღით ადრე. მისიის დროს გამოვლენილი დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო მხარემ უნდა მიაწოდოს იგი მისიის დასრულებიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში.

3. შედეგები

ერთობლივი საკონსულტაციო მისია მოამზადებს დეტალურ ანგარიშს (ელექტრონულ ფორმატში), რომელიც ასახავს ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის ადგილზე შეფასებას მისიის სამუშაო პირობების მიხედვით. მისიის ანგარიში გადაეცემა სახელმწიფო მხარეს მისიის დასრულებიდან რვა კვირის შემდეგ, 2023 წლის 30 იანვარს, შესაძლო ფაქტობრივი შეცდომების შესამოწმებლად.

UNESCO-სა და ICOMOS-ის დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ექსპერტები არ ითანამშრომლებენ მედიასთან და არ განიხილავენ მისიის დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მხოლოდ მისიის საბოლოო ანგარიშში უნდა იყოს წარმოდგენილი. სახელმწიფო მხარე არ იღებს პასუხისმგებლობას მედიის მხრიდან ექსპერტებთან კონტაქტის აცილებაზე ადგილზე ვიზიტის ან/და საქართველოში ყოფნის დროს.

დანართი II: სახელმწიფო მხარესგან მისიის ინფორმირებისთვის მიღებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სათაური	ავტორი	მოხსენების თარიღი
ღვთისმშობლის შობის ტაძრის (მთავარი ტაძარი) დავალებების საკონტროლო ჩამონათვალი	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (MCSY) და NACHP	2022 წლის დეკემბერი
გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარ ტაძარში 2021-2022 წლებში მხატვრობაზე განხორციელებული ჩარევების სქემა	მერაბ ბუჩუკური	2022 წლის დეკემბერი
სამონასტრო კომპლექსის ტოპოგრაფიული გეგმა		
გელათის კომპლექსის არქიტექტურული კვლევა	ლაშა შარტავა	2022 წლის მაისი
საქმიანობის ანგარიში, 2022 წლის ივლისი-ნოემბერი	ჯულია ბორდი	2022 წლის ნოემბერი
მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავი - გელათის სამონასტრო კომპლექსი. კონსტრუქციების ჰიგირომეტრიული მდგომარეობის გამოკვლევა. მისია არქ. ალესანდრო მასარი, არქ. სიმონა ბალსამო, 2022 წლის 4-8 ოქტომბერი. Rev. 2	Studio Massari & Associazione Giovanni Secco Suardo	2022 წლის დეკემბერი
მხატვრობის სამეცნიერო კვლევა. ნაწილი II	დავიდე მელიკა	2022 წლის 23 ნოემბერი
ანგარიში გელათის სამონასტრო კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ, საქართველო. მისია 2022 წლის 15 ივლისიდან 23 სექტემბრამდე	მარიო პულიერი	2022 წლის 23 ნოემბერი
ფაზა 2 – მოპოვებული დოკუმენტაციის ანალიზი და შემუშავება. შედეგები 2. ანალიზის მიგნებები: ძირითადი ელემენტები ეფუძნება RS-ის და GET-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. დისტანციური შეხვედრა	ReStruere ltd	2022 წლის 28 სექტემბერი
კომენტარები „საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს (IAB) მსოფლიო მემკვიდრეობა - გელათის სამონასტრო კომპლექსის დაცვისა და კონსერვაციის ანგარიშის შესახებ -“ (IAB ანგარიში), რომელიც გადამოცემულია კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2022 წლის 15 აგვისტოს და სამუშაოს მდგომარეობის შეფასება	უგო ტონიეტი, სარა სტეფანიანი, ლანფრანკო სეკო სუარდო, მარკო პულიერი, დავიდე მელიკა, ალესანდრო მასარი	2022 წლის 14 სექტემბერი

ფაზა 2 – მოპოვებული დოკუმენტაციის ანალიზი და შემუშავება. შედეგები 2. ანალიზის მიზნები: ძირითადი ელემენტები ეფუძნება RS-ის და GET-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს.	ReStruere ltd	2022 წლის 29 ივლისი
გადაუდებელი ფაზა: E.1 დასავლეთ მკლავის საგანგებო გამოვლენა: კონცეფცია, პროექტირების და განხორციელების ზედამხედველობა. 2022 წლის 25 მაისიდან 31 მაისამდე ქუთაისში (საქართველო) გელათის სამონასტრო კომპლექსში განხორციელებული მისიის ანგარიშის რეზიუმე.	უგო ტონიეტი და სარა სტეფანი	2022 წლის 9 ივნისი
ფაზა 1. დიაგნოსტიკური მიზნით ცოდნის განვითარება. შედეგი 1.5. 1 ფაზის აქტივობებისა და ანგარიშების რეზიუმე	უგო ტონიეტი, სარა სტეფანი, არამ ბუსტანი	2022 წლის 8 ივნისი
მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავი - გელათის სამონასტრო კომპლექსი. სტრუქტურების ჰიგრომეტრიული მდგომარეობის გამოკვლევა. მისია არქ. ალესანდრო მასარი, 2022 წლის 28 მაისი - 1 ივნისი	Studio Massari & Associazione Giovanni Secco Suardo	2022 წლის ივნისი

გელათის მონასტრის დასავლეთ მკლავის კამარისა და კედლების საკონსერვაციო-აღდგენითი სამუშაოები - საქართველო. კონსერვაცია-რესტავრაციი ექსპერტის მარკო პულიერი მისიის ანგარიში, 2022 წლის 27 მაისი - 3 ივნისი	მარკო პულიერი	2022 წლის ივნისი
წმინდა გიორგის ეკლესია. სტრუქტურების ჰიგრომეტრიული მდგომარეობის წინასწარი გამოკვლევები. არქ. ალესანდრო მასარის მისიები 6-12/11/2021 და 28/05 – 1/06/2022. რევ. 1	Studio Massari & Associazione Giovanni Secco Suardo	2022 წლის ივნისი
მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გელათის სამონასტრო კომპლექსის დაცვისა და კონსერვაციის ანგარიში, საქართველო	საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო	2022 წლის მაისი
ახალ კვლევებთან დაკავშირებული ტექნიკური ანგარიში ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაციით	ტარიელ კიპაროიძე და ლაშა შარტავა	2022 წლის 31 იანვარი
ანგარიში გელათის სამონასტრო კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ, საქართველო: 2021	მარიო პულიერი	2021 წლის 6 დეკემბერი

წლის 5-12 ნოემბრის მისია		
ფაზა 1. დიაგნოსტიკური მიზნებისათვის ცოდნის განვითარება. ადგილზე აღებული მასალის ნიმუშების ტესტები. სამეცნიერო ანგარიში, რომელიც განმარტავს ტესტების შედეგებს. შედეგი 1.1	ReStruere ltd	2021 წლის ნოემბერი/დეკემბერი
ღვთისმშობლის ტაძარი. სტრუქტურის ჰიგირომეტრიული და მიკროგარემოს მდგომარეობის გამოკვლევები მიზნად ისახავს შიდა კედლის მხატვრობის დაცვას. არქ. ალესანდრო მასარის მისია 2021 წლის 6-12 ნოემბერი	Studio Massari & Associazione Giovanni Secco Suardo	2021 წლის დეკემბერი
მოხსენება მხატვრობის კონსერვაციის მეორე მისიის შესახებ	ვინჩენცო ჩენტანი	20 ოქტომბერი 21 20 October 21
ღვთისმშობლის შობის ტაძარი - გელათის სამონასტრო კომპლექსი. სტატია მხატვრობის გადაუდებელი საკონსერვაციო-სარესტავრაციო ჩარევის შესახებ	ასოციაცია ჯოვანი სეკო სუარდო – ვინჩენცო სენტანი, მარკო პულიერი	2021 წლის სექტემბერი
ReStruere (1) მოხსენება მისიის შესახებ და წინასწარი რჩევები წყლის შეღწევის მიზეზების შესახებ და საწყისი რეკომენდაციები წყლის შეღწევისგან დაცვის შესახებ. მისია განხორციელდა ქუთაისში (საქართველო) გელათის მონასტერში უგო ტონიეტისა და სარა სტეფანინის მიერ, 25-29 ივნისი, 2021 წელი	უგო ტონიეტი და სარა სტეფანინი	2021 წლის 30 ივლისი
კედლის მხატვრობის სამეცნიერო კვლევა	დავიდე მელიკა, ფედერიკა ანტონელი	2021 წლის 19 ივლისი
ანგარიში გელათის სამონასტრო კომპლექსის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ, საქართველო: 2021 წლის 22-28 ივნისის მისია	მარიო პულიერი, ვინჩენცო ჩენტანი	2021 წლის 1 ივლისი
2021 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ქართველ კონსერვატორ-რესტავრატორებთან, არქიტექტორებთან, ისტორიკოსებთან, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გელათის სამონასტრო კომპლექსში განხორციელებული წინა ჩარევის გავლენისა და მისი საკონსერვაციის მდგომარეობის შესახებ გამართული შეხვედრების ოქმი	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2021 წლის 3 აპრილი, 2021 წლის 8 მაისი, 2021 წლის 25 მაისი, 2021 წლის 13 აგვისტო

<p>გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის შობის ტაძრის (მთავარი ტაძარი) დასავლეთ მკლავისკამარის სამხრეთ კედელზე დროებითი გამაგრების ჩარევების ტესტირების ამსახველი ფოტოდოკუმენტაცია. „ბეთანია“, ე. პრივალოვას მხატვრობის ტექნიკური კვლევის ცენტრი, 2021 წლის 19-21 მარტი</p>	<p>ნანა კუპრაშვილი</p>	<p>2021 წლის მარტი</p>
<p>დასავლეთ მკლავის ორთოფოტოები: ქრისტეს ჯვარი, ფეხთა ბანა, იუდას ამბორი, საიდუმლო სერობა, ლოცვა გეთსიმანიის ბაღში, მხსნელი/მესია ებრაელი მღვდელმთავრების წინაშე.</p>		<p>2017</p>

დანართი III: მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილება
გადაწყვეტილება 44 COM 7B.47

გელათის სამონასტრო კომპლექსი (საქართველო) (C 710bis)

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი,

1. შეამოწმა რა დოკუმენტი WHC/21/44.COM/7B,
2. მის 41-ე სესიაზე (კრაკოვი, 2017 წ.) მიღებული 41 COM 7A.20 და 41 COM 8B.31 გადაწყვეტილებების შესაბამისად,
3. აღნიშნავს ღვთისმშობლის ტაძრის ახალი გადახურვის მოწყობის სამწუხარო წარუმატებლობას და წმინდა გიორგის ეკლესიაში ტენიანობის შეღწევის შედეგად მუდმივ დეგრადაციას, რაც იწვევს ქვის, მოზაიკის და კედლის მხატვრობის დაზიანებას;
4. მიესალმება სახელმწიფო მხარის ქმედებას ღვთისმშობლის ტაძარზე დროებითი გადახურვის დამონტაჟებასთან დაკავშირებით და ძეგლის ტერიტორიაზე განთავსებულ ეკლესიებში ქვის ნაკეთობების, კედლის მხატვრობისა და მოზაიკის დაზიანების მონიტორინგს და ანგარიშგებას და მოითხოვს სახელმწიფო მხარისგან სასწრაფოდ:
 - a) უზრუნველყოს უფრო ეფექტური გადაწყვეტა როგორც ღვთისმშობლის, ასევე წმინდა გიორგის ეკლესიის გადახურვისთვის ისე, რომ საკონსერვაციო ღონისძიებები ჩატარდეს შეუფერხებლად ტენიანობის შეღწევის რისკის გარეშე და განხორციელებამდე წარუდგინოს ის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის საკონსულტაციო ორგანოებს განსახილველად,
 - b) შეიმუშავოს ძეგლის კონსერვაციის პროგრამა, თავისი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც მოიცავს ორი ეკლესიის კედლის მხატვრობის, მოზაიკის და ქვის სამუშაოების მონიტორინგის, კვლევისა და კონსერვაციის სამუშაოების განხორციელებას და წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს საკონსულტაციო ორგანოების მიერ განსახილველად;
5. ასევე თხოვნით მიმართავს სახელმწიფო მხარეს:
 - a. განაგრძოს ძალისხმევა, მონიტორინგის ინდიკატორების შემუშავების მიმართულებით იმ კომპონენტების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომლებიც ასახავს ძეგლის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას,
 - b. გააფართოვოს სამგანზომილებიანი სტრუქტურული მონიტორინგი წმინდა გიორგის ეკლესიასა და ძეგლის ტერიტორიაზე არსებული სხვა მნიშვნელოვან სტრუქტურებზე ,
 - c. წარმოადგინოს საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობის ანგარიში, კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, ამ /ძეგლის საკოორდინაციო კომიტეტის მომდევნო ანგარიშში საკონსერვაციო მდგომარეობის შესახებ.;
- b) შემდგომში სთხოვს სახელმწიფო მხარეს, გადახედოს და განაახლოს ძეგლის

მართვის გეგმა და წარუდგინოს ის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს საკონსულტაციო ორგანოებს განსახილველად და შექმნას მართვის კომიტეტი მის განსახორციელებლად, დამატებით, იმეორებს თავის მოთხოვნას სახელმწიფო მხარის მიმართ, განიხილოს მართვის გეგმის, ან მისი ნაწილის, განხორციელების ხელშეწყობი მექანიზმის დანერგვა, რომელიც დაგეგმვის პროცესებში მას შესაბამის სტატუსს მიანიჭებს;

6. მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს გააძლიეროს საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზაცია, მობილიზაციას, რათა უზრუნველყოს მეტი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა მოკლე და საშუალოვადიანი ზომების განსახორციელებლად., მათ შორის, მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის „კონსერვაციისა და მენეჯმენტის“ საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის მეშვეობით, ძველის კონსერვაციის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
7. დაბოლოს, სთხოვს სახელმწიფო მხარეს, 2022 წლის 1 თებერვლამდე წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს განახლებული ანგარიში ძველის კონსერვაციის მდგომარეობისა და ზემოაღნიშნულის განხორციელების შესახებ, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ 45-ე სესიაზე განსახილველად.

დანართი IV: განხორციელებული მისიის პროგრამა

მრჩეველთა მისიის დღის წესრიგი

28 ნოემბერი

- თბილისში ჩამოსვლა
- გამგზავრება ქუთაისში და განთავსება

29 ნოემბერი

- გელათის სამონასტრო კომპლექსის ადგილზე დათვალიერება (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP) გენერალური დირექტორის, NACHP-ის იუნესკოს განყოფილების ხელმძღვანელის, საქართველოს საპატრიარქოს ორი წარმომადგენლის, ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების თანდასწრებით)

30 ნოემბერი

- გელათის სამონასტრო კომპლექსის ადგილზე დათვალიერება (NACHP-ის UNESCO-ს განყოფილების ხელმძღვანელის და ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების თანდასწრებით)
- მისიის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა

1 დეკემბერი

- ტრანსფერი თბილისში
- შეხვედრა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ტახტის თანამოსაყდრე, მაღალყოვლადუსამღვდელოესი შიოს (მუჯირი) ხელმძღვანელობით
- შეხვედრა ICOMOS საქართველოს წარმომადგენლებთან, ICOMOS საქართველოს პრეზიდენტის, ქალბატონი ნატო ცინცაბაძეს ხელმძღვანელობით.
- შემაჯამებელი შეხვედრა სახელმწიფო მხარის წარმომადგენლებთან, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მინისტრის პირველ მოადგილესთან, ბატონ კახა (კარლო) სიხარულიძესთან.

2 დეკემბერი

- თბილისიდან გამგზავრება

დანართი V: მისიის გუნდის შემადგენლობა

- ირენა კაკე, პროგრამის სპეციალისტი, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განყოფილება, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი, UNESCO
- ალკივიადის პრეპისი, ICOMOS-ის მრჩეველი
- ვალერი მაგარი, ICCROM-ის პროგრამების განყოფილების მენეჯერი

დანართი VI: შეხვედრებში მონაწილე პირების სია

საკუთრების/ზეგლის ვიზიტის დროს (29-30 ნოემბერი)

სახელმწიფო მხარის წარმომადგენლები:

- ნიკოლოზ აზნაურაშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP) გენერალური დირექტორი
- თამარ კეთილაძე, UNESCO-ს და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, NACHP.
- თორნიკე გასვიანი, UNESCO-ს და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების სტაჟიორი, NACHP
- მერაბ ბუჩუკური, NACHP, კედლის მხატვრობის მთავარი კონსერვატორ-რესტავრატორი
- ნიკოლოზ კიკნაძე, კედლის მხატვრობის რესტავრატორი, NACHP
- ლაშა შარტავა, NACHP, არქიტექტორ-რესტავრატორი
- რონალდ ისაკაძე, ქუთაისის ისტორიული არქიტექტურული მუზეუმ-

ნაკრძალის დირექტორი.

სახელმწიფო მხარის ექსპერტ კონსულტანტები:

- უგო ტონიეტი, არქიტექტორი, ReStruere-ს პრეზიდენტი
- ჯულია მისერი, არქიტექტორი, ReStruere
- ალესანდრო მასარი, არქიტექტორი და მიკროკლიმატის სპეციალისტი, სტუდია Massari
- ლანფრანკო სეკო სუარდო, ჯოვანი სეკო სუარდო ასოციაციის პრეზიდენტი
- მარიო (მარკო) პულიერი, კონსერვატორ-რესტავრატორი, ასოციაცია ჯოვანი სეკო სუარდო

თბილისში შეხვედრების დროს (1 დეკემბერი)

სახელმწიფო მხარის წარმომადგენლები:

- კახა (კარლო) სიხარულიძე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მინისტრის პირველი მოადგილე (MCSY)
- ნიკოლოზ აზნაურაშვილი, NACHP-ის გენერალური დირექტორი
- თამარ კეთილაძე, UNESCO-ს განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, NACHP
- სალომე ჯამბურია, MCSY, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი
- მერაბ ბუჩუკური, NACHP, კედლის მხატვრობის მთავარი კონსერვატორ-რესტავრატორი
- ნიკოლოზ ზაზუნაშვილი, NACHP, არქიტექტორ-რესტავრატორი
- ლაშა შარტავა, NACHP, არქიტექტორ-რესტავრატორი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები:

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ტახტის თანამოსაყდრე, მაღალყოვლადუსამღვდელოესი შიო (მუჯირი)
- გორისა და ატენის ეპისკოპოსი ანდრია

- ეპისკოპოსი დავით (აბზა) ალავერდელი, საპატრიარქოს არქიტექტურის, ხელოვნებისა და რესტავრაციის საბჭოს თავმჯდომარე.
- ქუთათელ-გაენათელი (მათ შორის გელათის) ეპისკოპოსი იოანე.
- ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ვახტანგი, საპატრიარქოს სიწმინდეების დაცვის განყოფილების თავმჯდომარე.
- დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, საპატრიარქოს მდივანი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მამა ანდრია ჯალმაიძე
- დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი კირიონი

ICOMOS საქართველოს წარმომადგენლები:

- ნატო ცინცაბაძე, კონსერვაციის არქიტექტორი, ICOMOS საქართველოს პრეზიდენტი
- მანანა თევზაძე, მემკვიდრეობის მართვის ექსპერტი, ICOMOS საქართველოს გენერალური მდივანი, ლურჯი ფარი საქართველოს თავმჯდომარე.
- ლია ბოკუჩავა, კონსერვაციის არქიტექტორი, ICOMOS საქართველოს საბჭოს წევრი, დირექტორი
- ლელა ნინოშვილი, ქვის და კედლის მხატვრობის კონსერვატორი, ICOMOS საქართველოს საბჭოს წევრი
- ციცინო ჩაჩხუნაშვილი, ხელოვნებათმცოდნე, ICOMOS საქართველოს საბჭოს წევრი
- მარიამ ხურცილავა, ICOMOS საქართველოს პროგრამის ასისტენტი
- გვანცა (ტასო) ფოცხიშვილი, კედლის მხატვრობის კონსერვატორი, ICOMOS საქართველო (ონლაინ)
- მარიამ საღარაძე, კედლის მხატვრობის კონსერვატორი, ICOMOS საქართველო (ონლაინ)

დანართი VII: განაცხადი ძეგლის უნივერსალური ღირებულების შესახებ

მოკლე სინთეზი

ჩრდილოეთ კავკასიონის მთების ქვედა სამხრეთ კალთებზე განლაგებული გელათის სამონასტრო კომპლექსი ასახავს შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანას“ - მეფე დავით IV „აღმაშენებლის“ (1089-1125) და თამარ მეფის (1184- 1213 წწ) მმართველობის შორის - პოლიტიკური ძლიერებისა და ეკონომიკური ზრდის პერიოდს. სწორედ დავითმა დაიწყო 1106 წელს მონასტრის აშენება თავის დედაქალაქ ქუთაისთან, მდინარე წყალწითელას თავზე მდებარე ტყიან ბორცვზე. მთავარი ტაძრის მშენებლობა 1130 წელს, მისი ვაჟისა და მემკვიდრის დემეტრეს მეფობის დროს დასრულდა. მე-13 და მე-14 საუკუნეების დასაწყისში მონასტერს დაემატა დანარჩენი ეკლესიები. მონასტერი უხვად არის შემკული მე-12-მე-17 საუკუნეების კედლის მხატვრობით, ასევე მე-12 საუკუნის მთავარი ტაძრის აფსიდის მოზაიკით, სადაც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით ხელში, მთავარანგელოზებს შორის. მისი მაღალი არქიტექტურული ხარისხის, გამორჩეული დეკორის, ზომის და მკაფიო სივრცითი ხარისხის ერთობლიობა საქართველოს „ოქროს ხანის“ არქიტექტურის მხატვრული იდიომის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს, ხოლო მისი თითქმის სრულიად ხელუხლებელი გარემო არქიტექტურისა და ლანდშაფტის გამიზნულად შერწყმის გაცნობიერების საშუალებას იძლევა.

გელათი არ იყო უბრალოდ მონასტერი: ის ასევე იყო მეცნიერებისა და განათლების ცენტრი და იქ დაარსებული აკადემია უძველესი ხანის საქართველოს კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. დავით მეფემ თავის აკადემიაში შეკრიბა გამოჩენილი ინტელექტუალები, მათ შორის იოანე პეტრიწი, ნეო-პლატონიკოსი ფილოსოფოსი, რომელიც ცნობილია პროკლეს თარგმანებით და არსენ იყალთოელი, სწავლული ბერი, რომლის დოქტრინალური და პოლემიკური თხზულებების თარგმანები დოგმატიკონში, ანუ სწავლებათა წიგნში იქნა შეტანილი, რომელშიც არისტოტელეიზმის გავლენა შეიმჩნევა. გელათში ასევე არსებობდა სკრიპტორიუმი, სადაც მონასტრის მწიგნობრები ხელნაწერების გადაწერით იყვნენ დაკავებული (თუმცა მისი ადგილმდებარეობა უცნობია). იქ შექმნილ რამდენიმე წიგნს შორის ყველაზე ცნობილია მე-12 საუკუნის სახარება, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

როგორც სამეფო მონასტერს, გელათს საკუთრებაში გააჩნდა მიწის ვრცელი ნაკვეთები და მდიდარი იყო ხატებით, მათ შორის ცნობილი ხახულის ღვთისმშობლის ოქროს ხატით (ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში) და თავისი განვითარების მწვერვალზე ასახავდა აღმოსავლური ქრისტიანობის ძალაუფლებასა და მაღალ კულტურას.

კრიტერიუმი (iv): გელათის სამონასტრო კომპლექსი არის საქართველოს „ოქროს ხანის“ არქიტექტურის შედეგრი და მისი არქიტექტურული სტილის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელიც ხასიათდება გლუვად თლილი დიდი ბლოკების სრული მოპირკეთებით, შესანიშნავად დაბალანსებული პროპორციებითა და დეკორატიული თაღების გარე მორთულობით. მონასტრის მთავარი ტაძარი არის ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელმაც VII საუკუნიდან მოყოლებული აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის არქიტექტურაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. გელათი შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მართლმადიდებლური მონასტერია, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიით და კარგად გააზრებული საერთო დაგეგმარების კონცეფციით.

გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი შუასაუკუნეების ერთადერთი ძეგლია აღმოსავლეთ მცირე აზიისა და კავკასიის უფრო ფართო ისტორიულ რეგიონში, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად აქვს შემონახული საუკეთესო ბიზანტიურ მოზაიკებთან შესადარი მოზაიკური დეკორაცია, აგრეთვე შუა, გვიანი და პოსტ-ბიზანტიური პერიოდის საქართველოს მხატვრობის უდიდესი კოლექცია, მათ შორის მეფეების, დედოფლებისა და მაღალი სასულიერო პირების 40-ზე მეტი პორტრეტი და შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ყველაზე ადრეული გამოსახულება.

მთლიანობა

მთელი სამონასტრო უბანი წარმოადგენს ძეგლის ნაწილს და შეიცავს მე -12 საუკუნის ყველა მთავარ შენობას, აგრეთვე მე -13 საუკუნეში დამატებულ შენობებს. ყველა ატრიბუტი, რომელიც აუცილებელია გამორჩეული უნივერსალური ღირებულების გამოსახატავად, წარმოდგენილია ტერიტორიაზე და მის ნაწილს შეადგენს. მე-12 და მე-13 საუკუნეების მონასტრის არც ერთი მნიშვნელოვანი ორიგინალური მახასიათებელი არ დაკარგულა საუკუნეების განმავლობაში და მისი ლანდშაფტი ძირითადად ხელუხლებელი რჩება. ყველა შენობა არ არის კარგ საკონსერვაციო მდგომარეობაში.

არსებობს განვითარების გარკვეული ზეწოლა ბუფერულ და საკუთრების/ძეგლის უფრო ფართო ზონებში, მაგრამ საფრთხეების დონე დაბალია და პროცესები ამჟამად კონტროლს ექვემდებარება.

ავთენტურობა

მთლიანობაში, არქიტექტურული ფორმები, სივრცითი მოწყობა და გაფორმება სრულად გადმოსცემს მათ ღირებულებას. დიდი ხნის განმავლობაში კედლის მხატვრობის ძირითადი ნაწილები ცუდ საკონსერვაციო მდგომარეობაში იმყოფებოდა. სახურავების შეკეთებით, დეგრადაციის პროცესი შენედა და ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები, თუმცა ზოგიერთი მათგანი კვლავაც მოწყვლად მდგომარეობაშია.

აკადემიის შენობა, რომელსაც 1994 წლის რეგისტრაციის მომენტისთვის არ გააჩნდა სახურავი, 2009 წელს გადახურული იქნა შექცევადი მასალით. ვრცელი ბუფერული ზონა საშუალებას იძლევა სრულად შევაფასოთ ჰარმონია მონასტერსა და მის ბუნებრივ გარემოს შორის.

დაცვისა და მართვის მოთხოვნები

გელათის სამონასტრო კომპლექსი საბჭოთა პერიოდიდან ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მატარებელია და 2006 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეტანილ იქნა საქართველოს ძეგლთა ეროვნულ რეესტრში. 2014 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებულებით, კულტურული დაცვის ტერიტორია გაფართოვდა გელათის მონასტრის მიღმა, ბუფერული ზონის მოსაცვლად. ბუფერული ზონა დაცულია როგორც ძეგლების, ასევე ვიზუალური ატრიბუტების გამო. მიმდებარე ლანდშაფტის ბუნებრივი ფასეულობები რეგულირდება საქართველოს ტყის კოდექსით, ნიადაგის დაცვის, გარემოს დაცვის და წყლის კანონებით, რომლებიც ტერიტორიის ტყეებისა და მდინარეების მართვის საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენენ. ბუფერულ ზონაში ახალი მშენებლობის ან რეკონსტრუქციის, მათ შორის, ინფრასტრუქტურული და მიწის


სამუშაოების ჩატარების განაცხადები საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცული ზონების სექციისა და ურბანული მემკვიდრეობის სააგენტოს ნებართვას.

საკონსერვაციო სამუშაოები ტარდება კონსერვაციის გენერალური გეგმის მიხედვით, რომელიც მომზადებულია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობით. ეს გეგმა მოიცავს ნაგებობების კონსერვაციას, ასევე წინადადებებს 1990-იან წლებში დაწყებული სამონასტრო ცხოვრების აღორძინების მხარდასაჭერად და ვიზიტორთა საჭიროებებს. გრძელვადიანი კონსერვაციის პროგრამებისთვის საჭიროა ადექვატური რესურსების შენარჩუნება. უნდა შეიქმნას დოკუმენტაციის სისტემა ყველა საკონსერვაციო და აღდგენითი სამუშაოებისთვის და სხვადასხვა სამონასტრო შენობების საერთო სტაბილურობის სამგანზომილებიანი აზომვისა და მონიტორინგისათვის.


საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიის მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი შეთანხმებულია კომპლექსში შემავალ ყველა საკუთრებასთან მიმართებაში. ძეგლის ყოველდღიური მართვა ევალება სამონასტრო თემს, რომელიც ძეგლის ტერიტორიაზე ბინადრობს. უფრო გრძელვადიან ინტერვენციებს ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. მისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი სააგენტოა ქუთაისის ისტორიული არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია ვიზიტორების მიღებაზე.

2017-2021 წლების მართვის გეგმა ასახავს ეკლესიის და შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და სათემო ჯგუფების წვლილს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საკონსულტაციო პროცესში. ის მიზნად ისახავს საკუთრებასთან დაკავშირებით საერთო ხედვის ჩამოყალიბებას. გეგმა შემუშავებულია კონსერვაციის გენერალურ გეგმასთან, იმერეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგიასთან და იმერეთის დაცული ტერიტორიების 2014 წლის მართვის გეგმასთან (რომელიც მოიცავს მდინარე წყალწითელას ხეობასა და კანიონს ბუფერულ ზონაში) თავსებადობის გათვალისწინებით. მისი სრულად ამოქმედება და შესაბამისი ორგანოების მიერ აღსრულება საჭიროებს თავად გეგმის დამტკიცებას. საჭიროა საკუთრების მართვის კომიტეტის დანიშვნა და ძირითადი როლებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება.

დანართი VIII: ილუსტრაციების სია




სურ. 1. საეკლესიო კომპლექსის ზოგადი ხედი მონასტრის ტერიტორიაზე



სურ. 2. ღვთისმშობლის შობის ტაძრის გეგმა (შემოთავაზებული დროებითი დამატებითი ქარისგან დამცავი კარების განლაგების მითითებით)




სურ.3. საკურთხევის კონქის მოზაიკა



ნახ. 4. სახურავების შემავსებლის ტიპოლოგია 2016-2019 წლების ინტერვენციის დროს (ReStruere-ის მიერ მოწოდებული)


ნახ. 5. დახრილი წყალგაუმტარი იზოლაციის ტიპოლოგია (ReStruere-ის მიერ მოწოდებული)



სურ. 6. გადახურვის ტიპოლოგია (ReStruere-ის მიერ მოწოდებული)


სურ. 7. ახალი გადახურვის საფარი

ჩრდილოეთ მხარეს



სურ. 8. კვლევა N1, დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ ფერდზე და გუმბათის ყელის კედლის კიდეზე (მოედანი N2) – ჭრილი, ხედი დასავლეთიდან (ქართული ჯგუფის ანგარიში, 1/2022)

სურ. 9. კვლევა N1, ხედი ჩრდილოეთიდან: ბათქაშში და სხვა შემავსებელ მასალებში გამოვლენილი ტენიანობა (ქართული გუნდის ანგარიში, 1/2022)



სურ. 10. კვლევა N3 აფსიდის სახურავის აღმოსავლეთ ფერდზე (საფეხური N13), ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან: ძლიერი ტენიანობა მოჭიქული ფილების ქვეშ (ქართული ჯგუფის ანგარიში, 1/2022)

სურ. 11. კვლევა N3, ჭრილი, ხედი ჩრდილოეთიდან (ქართული გუნდის ანგარიში, 1/2022)



სურ. 12. არასწორი ინსტალაციის ტექნიკა: საიზოლაციო მასალის მოკლე ზოლი/ლურსმნები, რომლებიც თხევად საიზოლაციო ხსნარში აღწევს (ReStruere-ის მიერ მოწოდებული)

სურ. 13. ბოლო დროს დამატებული საიზოლაციო საფარის ფენები (WHC/ICOMOS/ICCROM-ის 2022 წლის ერთობლივი მისია)






სურ. 14. წმინდა გიორგის გუმბათი. სპეციალური კრამიტი აშკარად ჩანს (ფოტო მოწოდებულია)

სურ. 15. აფსიდებზე ერთმანეთის მიყოლებით ფილების გაორმაგება (ფოტო მოწოდებულია)



სურ. 16. გუმბათის ყელის საფუძველი: ორიგინალური ქვა უფრო მეტად გამოჩეულია, ვიდრე ახლად დამატებული

სურ. 17. ახალი სახურავის შვერილის არ არსებობის გამო ფროფილირებული კარნიზის ქვის გამორეცხვის შედეგები



სურ. 18. სონტაჟის სქემა R2 - არასწორი ინსტალაციის ტექნიკა (ReStruere-ის მიერ)

სურ. 19. სონტაჟის სქემა R3 - არასწორი ინსტალაციის ტექნიკა (ReStruere-ის მიერ)





სურ. 20. დასავლეთ მკლავის სამხრეთი კედელი. გრძივი ზხარი კედლის თავზე (ReStruere) სურ. 21. დასავლეთ მკლავი, ახალი დროებითი გადახურვა ნახ. 22. ლიობები, რომლებიც ჰაერს ცირკულირების საშუალებას აძლევს და ხელს უწყობს ტენიანობის აორთქლებას დასავლეთ მკლავი კამარის თავზე.



სურ. 23. ახალი დროებითი სახურავის საყრდენი, რომელიც ფარავს დასავლეთ მკლავის კამარას.

ნახ. 24. გამაგრებული საყრდენი ბურჯები, რომლებიც ამაგრებენ რკინის საყრდენ სისტემას, ფიქსირდება ბეტონის ბაზის გასწვრივ, იზოლირებულ სუბსტრატზე, რომელიც იცავს გრძივ ზხარებს.



სურ. 25. სახურავის ახალი კონსტრუქციის შემოთავაზება, რომელიც დაფუძნებულია ორ ცალკეულ წრედზე ჰაერის ნაკადით სახურავის ოპტიმალური ვენტილაციის სისტემის მისაღებად (ReStruere-ის მიერ)

სურ. 26. პოტენციური ინტერვენცია წარუმატებლობის რისკების პრევენციისთვის შესაძლო ძლიერი სეისმური სტრესის პირობებში (2022 წლის ერთობლივი WHC/ICOMOS/ICCROM მისია)



სურ. 27, 28. დასავლეთ მკლავის სამხრეთ კედელზე წარმოქმნილი ფენის შიგნით გამომარჩევა და საღებავის ფენის განშრევა



სურ. 29, 30. დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედელში საღებავების ფენისა განშრევა და ფენის შიგნით გამომარჩევა



სურ. 31. კედლის მხატვრობის ზოგიერთ უბანში კვლავ შეინიშნება ბიოლოგიური აგენტების ზრდა.




სურ.32,33. ჩრდილო-დასავლეთ აფრა ქვეშ ბათქაშის ძლიერი დეგრადაციის უბნები




სურ.34,35. ტონირება დასავლეთ მკლავის ჩრდილოეთ კედელზე



სურ. 36, 37. ხარაჩოები ეკლესიის ინტერიერში: ხედი გუმბათისა და საკურთხევისაკენ.



სურ. 38. „საკურთხევის სატრიუმფო თაღის მარცხენა ნაწილი
სურ. 39. ღვთისმშობლის ჰიმატიონის ქვედა ნაწილი



სურ. 40. ღვთისმშობელი – თავის დეტალი

სურ. 41. ღვთისმშობელი – თავის დეტალი, 1982 წელის მდგომარეობით (ბიბლიოგრაფიული კვლევა)




სურ. 42. მთავარანგელოზი გაბრიელის თავი, დეტალი

სურ. 43. წარწერის მდგომარეობა სატრიუმფო თაღის შუბლის ნაწილზე.




სურ. 44. დასავლეთი მკლავი – სამხრეთი ფასადი: სტრუქტურულ – დეკორატიული თლილი ქვების გადანაცვლება.

სურ. 45. დასავლეთი მკლავი – სამხრეთი ფასადი: მუდმივი ტენიანობა, მარილების ექსტრაქცია და დეკორატიული ელემენტების აქერცვლა.



სურ. 46. დასავლეთი მკლავი – სამხრეთი ფასადი: ნაკერებზე მარილის არსებობა

სურ. 47. დასავლეთი მკლავი – W-S კუთხე: სტრუქტურული და დეკორატიული ელემენტების დაზიანება



სურ. 48, 49. ჩრდილოეთი მკლავი – დასავლეთის კედელი: შენობის თლილი ქვების გადანაცვლება.
სურ. 50. ჩრდილოეთი მკლავი – შუბლის თაღი: ნიტრატების ინტენსიური არსებობა თაღის ზედაპირზე



სურ. 51, 52. ჩრდილოეთი ფასადის მდგომარეობა ჩრდილოეთ მკლავთან ახლოს - ბოლოდროინდელი ტენიანობა შემავსებელ დულაბზე და მარილების კრისტალიზაცია



სურ. 53, 54. ჩრდილოეთ მკლავი – დასავლეთის ფასადი: ნაკერების ღია ზზარები, ქსოვილის განშრევება და მარილების კრისტალიზაცია.



სურ. 55. ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ აფსიდა ჩრდილოეთ ეკვდერებთან კვეთაში (მსოფლიო მემკვიდრეობის ერთობლივი ცენტრი/ICOMOS/ICCROM-ის 2010 წ. მრჩეველთა ერთობლივი მისია)

სურ. 56. იგივე ტერიტორია 2022 წლის ერთობლივი WHC/ICOMOS/ICCROM მისიის დროს



სურ. 57. მისიის წევრები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად

წმინდა გიორგის ეკლესია



სურ. 58, 59. წმინდა გიორგის ეკლესიის ფასადის ხედი: წყობის ნაკერებში შემავსებლის საჭიროება წყლის შეღწევის თავიდან ასაცილებლად.



სურ. 60. გუმბათის შიდა ხედი



სურ. 61. წმინდა გიორგი: გარე ხედი, ჩრდილოეთის მხარე. ხილული აღმავალი/მზარდი ტენიანობის დეტალი (ReStruere-ის მიერ)

სურ. 62. წმინდა გიორგი: შიდა ხედი, ჩრდილოეთის მხარე. ხილული აღმავალი/მზარდი ტენიანობის დეტალი